მესხეთის უნივერსიტეტი

№10 (296) ნოემბერი, 2025 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„შალვა ვარდიძე - მოღვაწეობა ღვთისთვის და ერისთვის“

10 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, მეცნიერების საერთაშორისო დღის ფარგლებში, გამართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – **„შალვა ვარდიძე – მოღვაწეობა ღვთისთვის და ერისთვის“.** როგორც კონფერენციის სახელწოდება მეტყველებს, იგი მიეძღვნა ქართველ მეცნიერს, მწერალსა და მთარგმნელს, სტამბოლის ქართველ კათოლიკურ სავანეში მოღვაწე შალვა ვარდიძეს. ღონისძიება ორგანიზებული იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სტამბოლში მოქმედი ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდისა და არქივის თანამშრომლობით.

მისასალმებელი სიტყვებით კონფერენცია გახსნეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ,** სტამბოლის ქართული კათოლიკური ფონდის თავმჯდომარემ ბატონმა **პოლ ზაზაძემ,** სტამბოლის მალთეფეს უნივერსიტეტის პროფესორმა **ისმეთ დინდარ-მიქელაძემ,** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორმა **მამა აკაკი ჭელიძემ,** ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო აღმსარებლობის სრულიად დასავლეთ საქართველოს დეკანმა, საეპისკოპოსო ვიკარიუსმა **მამა გაბრიელ ბრაგანტინიმ,** მსოფლიო საპატრიარქო საყდრის არქიმანდიტრმა, თეოლოგიის დოქტორმა **მამა ილია ჯინჯოლავამ** და ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა. მათ ისაუბრეს შალვა ვარდიძის როლზე ქართული ეკლესიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მემკვიდრეობის კონტექსტში.

გაგრძელება მე-6 გვ.

შეხვედრა ღვაწლმოსილ მეცნიერთან

7 ნოემბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 35 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მორიგი ღონისძიება გაიმართა. უნივერსიტეტის წარმომადგენლები და სტუდენტები სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული ყოფისა და ეთნოგრაფიის გამორჩეულ მკვლევარსა და პედაგოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **თინა იველაშვილს** შეხვდნენ. დაანონსდა, რომ საიუბილეო წელთან დაკავშირებით, შეხვედრების ციკლი უნივერსიტეტის პროფესორებთან კვლავ გაგრძელდება.

გაგრძელება მე-8 გვ.

ისტორია, რომელიც იწყება და არასდროს მთავრდება

„არაფერი იმაზე მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე სიყვარული – სიყვარული უფლის, სიყვარული სამშობლოსი, სიყვარული ადამიანების“.

მაკა ბერიძე

გვ.2

პროფესია, რომელიც ადამიანებზე ზრუნვას ნიშნავს

უკვე წლებია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონში პროფესიული განათლების განვითარებასა და გაძლიერებაში. უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული პროფესიული სასწავლებელი, საექთნო საქმის მიმართულებით, დღითიდღე უფრო მეტ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, შეიძინოს თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული, პრაქტიკული და მოთხოვნადი პროფესია.

გაგრძელება მე-11 გვ.

სამეცნიერო კონფერენცია

„ონომასტიკური პრობლემები და თანამედროვეობა“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „მეცნიერების ფესტივალი – 2025“-ის ფარგლებში, 20 სექტემბერს, ჩატარდა ონომასტიკოსთა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა თემას – **„ონომასტიკური პრობლემები და თანამედროვეობა“.** ფესტივალის დევიზი – **„მეცნიერება გვაერთიანებს“,** ლაიტმოტივად გასდევდა კონფერენციის მსვლელობას. მნიშვნელოვანი გახლდათ ის ფაქტი, რომ კონფერენცია უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს, მისი დაარსებიდან 35 წლის იუბილეს მიეძღვნა.

გაგრძელება მე-4 გვ.

აფხაზური ცენტრის პროექტი ახალგაზრდობის სააგენტოს კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულია

გვ.7

ჩანახატებით მოყოლილი ამბები

გვ.11

„გალაპტიონის ხმები“

გვ.9

„გენერალი“, რომელსაც ამაზე არ უფიქრია

გვ.12

ისტორია, რომელიც იწყება და არასდროს მთავრდება

მოგესალმებით გაზეთის მკითხველს. დღევანდელ ინტერვიუში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე გვესაუბრება იმ ცვლილებებზე, ხარისხის სტანდარტებსა და სამომავლო გეგმებზე, რომლებიც სტუდენტებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია.

– მოგესალმებით, ქალბატონო მაკა. რომ გაგვაცნოთ, რა კრიტერიუმებით აფასებთ, უნივერსიტეტი რეალურად რომ ვითარდება და არა მხოლოდ სტატისტიკურად?

– მოგესალმებით, რიმა, მივესალმები გაზეთის მკითხველს. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ზოგადად, უნივერსიტეტის რეალური განვითარების შეფასება. აუცილებელია მასზე მუდმივი მეთვალყურეობა, მუდმივი ზრუნვა და ეს არ გახლავთ საკითხი, როდესაც განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწევ და შეგიძლია, მშვიდად შეწყვიტო ფიქრი უნივერსიტეტის განვითარებაზე. განსაკუთრებით ისეთ სწრაფად განვითარებად, სწრაფად ცვალებად გარემოში, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, ეს არის სტუდენტების რაოდენობა, დამსაქმებლების კმაყოფილება, პროგრამებისა და დასაქმებული სტუდენტების, ჩარიცხულთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფასება და ასე შემდეგ, მაგრამ უნივერსიტეტის განვითარებას მხოლოდ ამ მონაცემებით ვერ გავზომავთ. ძალიან მნიშვნელოვანია თვისებრივი კრიტერიუმები, რომლებიც ძალიან ხშირად უფრო ზუსტად ასახავს უნივერსიტეტის განვითარებას. თქვენ ამას მეკითხებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ისეთ მნიშვნელოვან პერიოდში, როგორიც გახლავთ მისი ავტორიზაციის პროცესი. ყველაზე დიდი შეფასება, გარეშეფასება, სწორედ ავტორიზაციის პროცესი გახლავთ და მისი კრიტერიუმები შეგვიძლია, ჩავთვალოთ იმ თვისებრივ კრიტერიუმებად, რომლებიც დეტალურად საკმაოდ სიღრმისეულად აფასებს უნივერსიტეტის განვითარების ხარისხს. აქვე მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტმა 2025 წელს წარადგინა ავტორიზაციისთვის თვითშეფასების ანგარიში. ჩვენ უკვე ვუმასპინძლეთ სპეციალურ კომისიას, რასაც ითვალისწინებს ავტორიზაციის პროცესი. მოლოდინის რეჟიმში ვართ, როგორ დასკვნას დადებს ექსპერტთა ჯგუფი და, საბოლოო ჯამში, რას გადაწყვეტენ. გულწრფელად გეტყვით, რომ მოლოდინი გვაქვს ძალიან ოპტიმისტური და დარწმუნებული ვართ, უნივერსიტეტი მიიღებს ავტორიზაციას.

ახლა თუ დავუბრუნდებით კრიტერიუმებს, მოგახსენებთ, რომ უნივერსიტეტის განვითარების შეფასებისთვის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია – როგორია საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული ხედვა, არა მხოლოდ ხედვა, არამედ, რაც უფრო მთავარია, როგორია მისი შესრულების ხარისხი; რამდენად იგრძნობა, რომ სტრატეგიაზე დაყრდნობით მიმდინარეობს მისი განვითარება და შესაბამისია თუ არა მთავარი მიზნები საქართველოს, კონკრეტულად, სამცხე-ჯავახეთის განათლების პოლიტიკასთან, მისი განვითარების პოლიტიკასთან. აი, პირველი საკითხი ეს გახლავთ და მსურს, მოგახსენოთ ამასთან დაკავშირებით, რომ უნივერსიტეტს ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული გეგმა და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისია აქვს. ეს მისია გაზიარებულია საზოგადოების მიერ. მას შემდეგ, რაც 2025 წლისთვის კიდევ უფრო კრიტიკულად გადავხედეთ მისიასა და სტრატეგიულ ხედვას, რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა მისიაში. უპირველესად უნდა დავასახელო უნივერსიტეტის აფხაზური ცენტრის ინიციატივა, რომელიც მისიაში სამშვიდობო განათლების მხარდაჭერას, სამშვიდობო განათლების დამკვიდრებასა და მის მხარდაჭერას მოიაზრებს, ხოლო მეორე მათგანი, ინოვაციების დამკვიდრების ხარჯზე, უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერებას გულისხმობს. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ – ის, რომ უნივერსიტეტი მიჰყვება სტრატეგიული განვითარების ხედვას, ის, რომ უნივერსიტეტი კრიტიკულად აფასებს ჩამოყალიბებულ მისიას, ის, რომ უნივერსიტეტს შეაქვს გარკვეული ცვლილებები მისიაში, სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ის, რომ არსებობს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ანგარიში, რაც მინდა გითხრათ, რომ ძალიან მაღალი პროცენტით ადასტურებს წლების წინ სტრატეგიაში განსაზღვრული მიზნების შესრულებას. ძალიან მნიშვნელოვანია აკადემიური კულტურის შეფასება, რაც გულისხმობს სწავლა-სწავლების პროცესის სათანადო დონეზე განვითარებას, უნივერსიტეტისთვის ლექციების, სემინარების და სწავლების მეთოდების, განსაკუთრებით სწავლების მეთოდების ინოვაციურობას. შეფასების მეთოდებთან ძალიან მჭიდროდ გახლავთ დაკავშირებული კვლევების ინოვაციური მეთოდებით განხორციელება. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია აკადემიური კეთილსინდისიერება. შესაბამისად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინოვაციური მეთოდების დანერგვის პროცესში უნივერსიტეტი ვითარდება. მარტო ის რად ღირს, რომ უნივერსიტეტი, აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვის კუთხით, ახორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებს. მას შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიპოვა მესამე, ანუ სადოქტორო საფეხურის პროგრამის განხორციელების უფლება, სხვა მნიშვნელობა აქვს კვლევითი გარემოს მოწყობას და ინოვაციური მეთოდებით კვლევას.

უნივერსიტეტის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გახლავთ პროფესორ-მასწავლებელთა მაქსიმალური ხელშეწყობა, მათი ინტეგრაცია სამეცნიერო წრეებში როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ მეცნიერებთან კვლევით პროექტებში. ამ მიმართულებით სერიოზული წინსვლა გვაქვს. კვლევითი მიმართულებით განსაკუთრებით მინდა, ხაზი გავუსვა „Erasmus+”-ის და უნივერსიტეტში არსებული ჰორიზონტი ევროპის ოფისს. მინდა, პროექტების ხელმძღვანელებსა და კოორდინატორებს განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო.

ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ეს არის უნივერსიტეტის ავტორიტეტი, ასე ვთქვათ, მისი სახელი, რაც პროფესიული წრეების, პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან ფასდება. როდესაც ავტორიზაციის პროცესისთვის თვითშეფასებას ვწერდით და ვიკვლევდით საკუთარ იმიჯს, საკმაოდ სასიამოვნო ფაქტები გვქონდა. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, როგორია უნივერსიტეტის რეიტინგი საქართველოს უნივერსიტეტებს შორის. ჩვენ, რეგიონის მასშტაბით, ქართულ უნივერსიტეტებს შორის ერთ-ერთ წამყვან პოზიციაზე გახლავართ.

ძალიან მნიშვნელოვანი კრიმიტერიუმია თავად უნივერსიტეტის გარემო. მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ტექნოლოგიურად მდიდარი, სტუდენტთა კეთილდღეობაზე, მათ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერაზე და, რაც მთავარია, მათ განსხვავებულ საჭიროებებზე მორგებული და შემოქმედებითი უნარების მხარდაჭერაზე ორიენტირებული გარემო.

სერიოზული კრიტერიუმი გახლავთ თანამშრომლობა, პარტნიორული ქსელები, საერთაშორისო პროექტებში ჩართვა და ისეთი საქმიანობების განხორციელება, რომელიც საქართველოს შიგნით უნივერსიტეტების თანამშრომლობასა და პარტნიორობას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტის განვითარებისთვის ყურადღება გავამახვილოთ უნივერსიტეტის მმართველობის ხარისხზე. როგორია შიდა კომუნიკაცია სხვადასხვა რგოლებს შორის, როგორია ანგარიშვალდებულების გამჭვირვალობის ხარისხი და მაჩვენებელი, თუმცა, გულახდილად გეტყვით, ამ კუთხით ყველაზე მეტი გვაქვს გასაკეთებელი. ადამიანური რესურსის კუთხით ძალიან მდგრადი მდგომარეობა გვაქვს. ფაქტობრივად, გადინება 0,1-0,2%-ზე მეტი არ არის. ვინც მოდის ჩვენთან, მას მოსწონს ეს გარემო და რჩება კიდეც. ის, რაც სტრატეგიულ გეგმასა და მისიაში შევიტანეთ, არის უნივერსიტეტის გავლენის გაზომვა საზოგადოებაზე. აი, ეს არის უნივერსიტეტის განვითარების თვისებრივი კრიტერიუმებით შეფასების გზები, მიმართულებები, რაც ნიშნავს იმას, რომ განვითარება აუცილებლად უნდა შეფასდეს არა მარტო იმით, რა კეთდება, არამედ იმითაც, როგორ კეთდება და რამდენად არის ის, რაც კეთდება, ღირებულებებსა და უნივერსიტეტის წინსვლაზე ორიენტირებული, რამდენად იქმნება ინოვაციური გარემო.

– ქალბატონო მაკა, გვიამბეთ ქალაქის/რეგიონის განვითარებაში უნივერსიტეტის როლზე. როდესაც საზოგადოებამდე მიდის მხოლოდ შედეგები, რა დგას ამ ყველაფრის უკან?

– როგორც წინა კითხვაში მოგახსენეთ, მთავარი სიახლე, რომელიც აქვს უნივერსიტეტს ამ ეტაპზე, ეს არის სწორედ უნივერსიტეტის, ქვეყნის, კონკრეტულად, სამცხე-ჯავახეთის განვითარებაზე, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა. საინტერესოდ დასმული კითხვაა – საზოგადოება ხედავს შედეგს. რეგიონს, ქვეყანას აინტერესებს შედეგი. რა დგას ამ ყველაფრის უკან?

მოდით, ვისაუბროთ იმაზე, თუ კონკრეტულად რა შეგვიძლია, რა გავლენა გვაქვს საზოგადოებაზე.

ძალიან საინტერესო ეპოქაში ვცხოვრობთ, მაშინ, როდესაც ხშირად უნივერსიტეტები საკუთარ გავლენას საზოგადოებაზე, ვფიქრობ, ცოტა გადამეტებითაც კი აფასებენ. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, უნივერსიტეტის მისიას, დანიშნულებას, არსს სცილდება კიდეც ხშირად ის, რასაც ეჭიდებიან. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ცდილობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში დარჩეს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის თავს იზღუდავს რამით, პირიქით, საგანმანათლებლო დაწესებულება და აკადემიური სივრცე ყველაზე თავისუფალი სივრცეა, თავისუფლება კი ნიშნავს თავისუფლებას ყველასთვის. შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ მაქსიმალურად ვიზღუდავთ თავს და ვცდილობთ, რომ საუნივერსიტეტო განათლების, უნივერსიტეტის მისიისა და დანიშნულების სივრცეში დავრჩეთ, ვგულისხმობ იმას, რომ ვიღებთ პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, რომ გავიაზროთ – ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები არაერთგვაროვანი ადამიანები არიან. ისინი ფიქრობენ განსხვავებულად. მათ აქვთ

→

←

განსხვავებული საჭიროებები და გემოვნება. ისინი არიან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ამ განსხვავების მიუხედავად, შექმნას ერთიანი, უსაფრთხო, ინკლუზიურ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცე. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 35 წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სტუდენტებს შორის განხეთქილება დაფიქსირებულა, როდესაც განსხვავებული აზრი შეზღუდულა ან ადგილი ჰქონია დისკრიმინაციას. ეს უკვე შედეგია საზოგადოებისთვის. ამის უკან დგას ყოველდღიური, მეტიც, ყოველწუთიერი მუშაობა, სწორი დამოკიდებულება. მე მინდა, 35 წლის განმავლობაში ამ უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა ლექტორს, მასწავლებელს, პედაგოგს, ადმინისტრაციის თანამშრომელს, ამ უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ერთდროულად მოვახსენო მადლობა იმისთვის, რომ ისინი ძალიან ღირსეულად იცავდნენ საუნივერსიტეტო იდეას.

ძალიან მნიშვნელოვანია მოხალისეობრივი ჩართულობა, სოციალური პროექტების განვითარება, რითაც, ასევე, ცნობილია ჩვენი უნივერსიტეტი და, გარკვეულწილად, ლიდერია ამ კუთხით. ჩვენ ვცდილობთ, საზოგადოებისთვის ყველაზე საინტერესო და საჭირო საკითხების მაჯისცემა გავიგოთ, ვიყოთ ძალიან ადეკვატურები, ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომელიც აქვს ქვეყანას, რომელიც აქვს ჩვენს რეგიონს და ამ ყველაფრის უკან ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების პროფესიონალიზმი დგას, რომელსაც ამყარებს მათი ძალიან მაღალი მოქალაქეობრივი ღირებულებები, ღირსება და შეგნება. ამ ყველაფრის მიღმა დგას ჩვენი სტუდენტების მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება. აი, ეს ყველაფერი ერთად ქმნის რეალობას, რომელიც ქვეყნის, ჩვენი რეგიონის განვითარების ერთ-ერთი სერიოზული ხელშემწყობია. ის ქმნის ერთიანობის, სტაბილურობის, ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოების ხელშეწყობის შესაძლებლობებს.

– ყველაზე მეტად რომელი საუნივერსიტეტო სივრცის განახლება გსურთ და რატომ?

– როდესაც მშობელს ეკითხებიან, რომელი შვილი გინდა იყოს უკეთესი, უფრო განვითარებული, უფრო ლამაზი. ძალიან ლოგიკურია, რომ მან უპასუხოს – ყველა შვილი. ზუსტად ამ ლოგიკით, ყველა კორპუსი, რომელიც აქვს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მინდა იყოს საუკეთესო სტუდენტური სივრცე და ეს არ არის მხოლოდ სურვილი, ეს ძალიან რეალური შესაძლებლობაა.

უნივერსიტეტს ამჟამად აქვს ოთხი სასწავლო კორპუსი – 2 ახალციხეში, 2 ახალქალაქში. ჩვენ გვაქვს უდიდესი უპირატესობა, ორივე კორპუსს აქვს სივრცე განვითარებისთვის. ამ წლების განმავლობაში უნივერსიტეტი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობდა კიდეც, რომ მიექცია ყურადღება როგორც ახალციხეში, ისე ახალქალაქში არსებული სტუდენტური გარემოსა და ინფრასტრუქტურისთვის. დღეს ოთხივე კორპუსში არის შესაძლებლობა, ჩატარდეს გარკვეული სპორტული აქტივობები. არის მწვანე, ძალიან ღია, თავისუფალი სივრცე. სტუდენტებს შეუძლიათ, სხვადასხვა ღონისძიებისთვის გამოიყენონ თითოეული მათგანი. მოგახსენეთ, უნივერსიტეტი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა, იყო გარკვეული მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდანაც.

ახლა შემიძლია უფრო დაბეჯითებით გითხრათ, რომ კიდევ უფრო რეალისტური ხდება უნივერსიტეტის ყველა კორპუსთან არსებული სივრცის საუკეთესო, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საუნივერსიტეტო -სტუდენტურ სივრცედ გარდაქმნის შესაძლებლობა. ვგულისხმობ ბოლო დროს დაანონსებულ უმაღლესი განათლების რეფორმის კონცეფციას და უნივერსიტეტების ხელშეწყობას ინფრასტრუქტურული კუთხით. მიმაჩნია, რომ სამცხე-ჯავახეთის ოთხივე კორპუსი იმსახურებს და შეუძლია, იყოს ერთმანეთზე მიმზიდველი სტუდენტებისთვის.

– რა ნაბიჯებს დგამს უნივერსიტეტი იმისთვის, რომ სტუდენტებს კვლევების მიმართულებით მეტი მოტივაცია ჰქონდეთ?

– კვლევითი საქმიანობის განვითარება გახდა კიდევ უფრო აქტუალური, როდესაც პროფესორ მერაბ ბერიძის რექტორობისას, 2014 წელს, უნივერსიტეტმა მოიპოვა სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება. მოგეხსენებათ, სადოქტორო პროგრამები სწორედ კვლევების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული პროგრამებია. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტში დავისახეთ მიზნად სტუდენტებისთვის კვლევითი უნარების განვითარება. აქ მე რამდენიმე მიმართულებას გამოვყოფ. პირველი – უმრავლეს საბაკალავრო პროგრამაში შევიტანეთ ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა შესავალი კვლევით მეთოდებში, სხვადასხვა მიმართულებით სამეცნიერო წერის საბაზისო უნარები და ასე შემდეგ. ანუ ბაკალავრიატში შევიტანეთ კვლევითი უნარების განმავითარებელი სილაბუსები. ბაკალავრიატში ჩავაშენეთ სტუდენტების სასწავლო კურსები, რომელიც პირდაპირ ამას უჭერს მხარს. მეორე – სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში შევიტანეთ შეფასების კრიტერიუმებში ესეები, რეფერატები, რომელიც კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია საქართველოსა თუ საქართველოს ფარგლებს გარეთ დაგეგმილ კონფერენციებთან დაკავშირებით. კონფერენციებში მონაწილეობა, სამეცნიერო მოხსენებების მომზადება, მოგეხსენებათ, სერიოზული მექანიზმია კვლევითი უნარების განსავითარებლად. ამავე დროს, ეს სტუდენტებისთვის გარკვეული უპირატესობაა, როდესაც ისინი საკონკურსო პირობებში არიან სტიპენდიის მოსაპოვებლად.

მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ იგეგმება სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში საველე ექსპედიციები, რა თქმა უნდა, გამომდინარე კონკრეტული პროგრამის სპეციფიკიდან. შესაბამისად, როგორც მოგახსენეთ, უნივერსიტეტი, ერთი მხრივ, სასწავლო პროგრამებში ინტეგრაციის გზით ავითარებს სტუდენტების კვლევით უნარებს და მეორე მხრივ – სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების გზით.

– რა შეიძლება იყოს ის შეცდომა, რომელიც უნივერსიტეტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას?

– მოდით, დავიწყოთ იქიდან, შეიძლება თუ არა, რომ უნივერსიტეტმა დაუშვას გარკვეული შეცდომა. გარკვეულწილად, მე პირველ კითხვაში ვისაუბრე ამასთან დაკავშირებით. ახლა მხოლოდ იმას გავიმეორებ, რომ არავითარ შემთხვევაში უნივერსიტეტს არ ეპატიება, გადაუხვიოს თავის მთავარ მიზანს – მისცეს მომავალ თაობას განათლება და აღზარდოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით გამსჭვალულ პიროვნებად. აი, ამ გზას თუ გადაუხვევს უნივერსიტეტი, ეს მთავარი შეცდომა იქნება. დეკლარაცია რომ არ გამოვიდეს, რაც მე ვთქვი, ძალიან პრაგმატულ დონეზე ავხსნი, რას ვგულისხმობ. უნივერსიტეტი არ შეიძლება იქცეს პოლიტიკური, რელიგიური, მსოფლმხედველობრივი და სხვა კუთხით მხარედ. უნივერსიტეტი უნივერსალური განათლების სამსახურშია. არ შეიძლება, უნივერსიტეტმა უპირატესობა მიანიჭოს სტუდენტების დისკრიმინაციას. უნივერსიტეტი უნდა ამაღლდეს, უნდა იქცეს გამაერთიანებლად, სივრცედ, სადაც უსაფრთხოდ იგრძნობს თავს ყველა ადამიანი. ყველა სტუდენტს უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ ეს მისი უნივერსიტეტია.

– ხელოვნური ინტელექტი – 2025 წლის უმნიშვნელოვანესი ინოვაცია. რას გვეტყვით საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და ხელოვნური ინტელექტის „ურთიერთობაზე“?

– ხელოვნური ინტელექტის ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აქტიური დამკვიდრება უნივერსიტეტისთვის არის უპირატესობაც და გამოწვევაც. უპირატესობა გახლავთ იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი შეძლებს და გამოიყენებს მას სწორად. რა იგულისხმება ამაში: ხელოვნური ინტელექტი შეუდარებლად ფართო მასშტაბის შესაძლებლობებს იძლევა. ის შეიძლება, გახდეს სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების მთავარი საყრდენი და დიდი სარგებელი მოუტანოს სტუდენტებს. მისი წყალობით, ის, რაც მოითხოვდა დიდ დროს, ფინანსებსა თუ ენერგიას, შეიძლება მაქსიმალურად მოკლე ვადაში, აბსოლუტურად ფინანსური დანახარჯის გარეშე ხარისხიანად შესრულდეს. ხელოვნური ინტელექტის წყალობით შეიძლება, დიდი მოცულობის საბიბლიოთეკო რესურსი მოხვდეს ჩვენს ხელთ. ძალიან პოზიტიურად თამაშობს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში და ასე შემდეგ. უბრალოდ, ამას სჭირდება არა აჩქარებით, არამედ ძალიან გააზრებული ინტეგრირება. არ უნდა დაზიანდეს, ამავე დროს, არცერთი მიმართულება.

უნივერსიტეტისთვის ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გამოწვევა გახდეს იმ კუთხით, რომ როგორც სტუდენტის, ისე პროფესორის, ასე ვთქვათ, ნაშრომის ავტორობა დააყენოს ეჭვქვეშ. ჩნდება ბევრი კითხვა, მაგრამ ნახეთ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს, რომ მეტი ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტებსა და პროფესორებს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების შესახებ, რათა მხოლოდ და მხოლოდ ძალიან ვიწრო კუთხით მოხმარება კი არა, იმის დანახვა მოხერხდეს, თუ რამხელა პოზიტივის მოტანა შეუძლია ხელოვნური ინტელექტის სწორად გამოყენებას და თავადვე თქვან უარი აი, იმ გამოწვევებზე, რომელზეც გავამახვილე ყურადღება.

– რა გსურთ, დაიმახსოვრონ თქვენგან სტუდენტებმა?

– პირველ რიგში, მინდა სრული გულწრფელობით მოგახსენოთ, მე არ ვთვლი თავს იმის ღირსად, რომ ხმამაღლა ვისაუბრო იმ საკითხზე, თუ რა მინდა დაიმახსოვროს ჩემგან ჩემმა სტუდენტმა. მოდით, ამ საკითხს ოდნავ შევცვლი და ვიქნები ცოტა უფრო მოკრძალებული ამ კუთხით. მე ვიტყვი, რა მთავარი სათქმელი მაქვს მათთვის. რამდენად ჩათვლიან, რომ ჩემი მთავარი სთქმელი მნიშვნელოვანია, ეს თავად სტუდენტებისთვის მიმინდვია. როდესაც ვამბობ – ჩემი მთავარი სათქმელი, საკუთარ თავში მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს არ მოვიაზრებ. მე, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, შემდეგ 20 წელი მისი მოწვეული ლექტორი, მერე აკადემიური პერსონალი, დამხმარე ადმინისტრაციის წევრი, შემდეგ უკვე დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ბოლოს – რექტორი. აი, ყველა ამ საფეხურზე მიღებული გამოცდილებით ძალიან მინდა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებმა გაიაზრონ ერთი ძალიან სასიამოვნო რეალობა – უნივერსიტეტში მოსვლით მათი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთობის ისტორია იწყება და ამ ისტორიას აქვს საოცარი თავისებურება – ის მხოლოდ იწყება და არასდროს მთავრდება. აქედან გამომდინარე, ძალიან მინდა, ყველა სტუდენტმა იგრძნოს სრულფასოვნად, რომ უნივერსიტეტი მისია. სანამ უნივერსიტეტშია, ის წარმოადგენს უნივერსიტეტს. კურსდამთავრებულისა თუ დასაქმებული პროფესიონალის საფეხურზე ის მაინც წარმოადგენს უნივერსიტეტს. მინდა, თითოეულ სტუდენტს ვუსურვო, ისე გაევლოს თავისი ცხოვრების გზა, რომ ყოველთვის სიამაყით გაეღოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი, რომელსაც პირველმა გამოშვებამ სტუდენტებისა საუკეთესო სახელი – „სიყვარულის უნივერსიტეტი“ უწოდა. მე მინდა, ჩემი მთავარი სთქმელი მოვაქციო ყველასთვის ძალიან კარგად ცნობილ სიტყვებში – „არაფერი იმაზე მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე სიყვარული – სიყვარული უფლის, სიყვარული სამშობლოსი, სიყვარული ადამიანების.“ აი, ამ სიყვარულისკენ მიმავალ გზაზე სწორად სიარულის შესახებ ცოდნას იძლევა უნივერსიტეტი.

– უღრმესი მადლობა, ქალბატონო მაკა, გულახდილი პასუხებისთვის.

– დიდი მადლობა თქვენ.

ინტერვიუერი
რიმა სუდაძე

სამეცნიერო კონფერენცია

„ონომასტიკური პრობლემები და თანამედროვეობა“

პირველი გვერდიდან

– კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ.** მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ, გაიმართა პლენარული სხდომა, რომელზეც სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სტრატეგიისა და დაგეგმვის სამსახურის უფროსმა **თინათინ ბოლქვაძემ** და სტრატეგიისა და დაგეგმვის სამსახურის დარგობრივმა ექსპერტმა **ნატა ჩხაიძემ** წარმოადგინეს მოხსენება **„თანამედროვე ლექსიკოგრაფიული ინსტრუმენტი სახელმწიფო ენის პორტალისათვის“.**

რექტორმა მონაწილეებს მიმართა და უნივერსიტეტის საქმეში გაწეული დიდი ღვაწლისთვის, ერთგულ ადამიანებს მადლობა გადაუხადა: **დღეს აქ არიან ადამიანები, რომელთა წვლილი უნივერსიტეტის ისტორიის ნაწილია. მოხარული ვარ, რომ მეცნიერების კვირეულის ფარგლებში კიდევ ერთხელ გვაქვს შესაძლებლობა შევხვდეთ ერთმანეთს. წლევანდელი მეცნიერების ფესტივალის დევიზად ჩვენს უნივერსიტეტში ავირჩიეთ სიტყვები – „მეცნიერება გვაერთიანებს“. ვფიქრობ, ამ დევიზს განმარტება არ სჭირდება – ის თავად გამოხატავს ფესტივალის არსს და მიზანს.**

რექტორმა განმარტა, რომ მეცნიერების ფესტივალი ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სახელმწიფოს თანმიმდევრულ პოლიტიკას განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიმართულებით.

ფესტივალის კონცეფცია ეფუძნება ცოდნის, კვლევისა და საზოგადოების ინტელექტუალური პოტენციალის გაერთიანებას. უნივერსიტეტი ამ ინიციატივაში საკუთარ როლს რეგიონული განათლებისა და მეცნიერების ცენტრად აღიქვამს. – განაცხადა ქალბატონმა მაკამ და დასძინა, რომ მიმდინარე წელი განსაკუთრებულია უნივერსიტეტისათვის, რადგან აღინიშნება მისი დაარსების 35 წლის იუბილე: **უნივერსიტეტის იუბილე განიხილება არა მხოლოდ თარიღად, არამედ მეცნიერებისა და განათლების განვითარების უწყვეტი პროცესის სიმბოლოდ. 35-წლიანი ისტორია აერთიანებს მრავალ თაობას, რომლებიც უნივერსიტეტის სახეს ქმნიდნენ და ქმნიან დღესაც.**

დარბაზში შეკრებილი თითოეული ადამიანი შემთხვევითი მონაწილე არ არის. აქ არიან მეცნიერები, მკვლევრები, ყოფილი თანამშრომლები და ერთგული მხარდამჭერები, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით უნივერსიტეტის განვითარებაში. გულწრფელად გიხდით მადლობას თითოეულ თქვენგანს გამოჩენილი მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

მაკა ბერიძემ განსაკუთრებული მადლიერებით ისაუბრა უნივერსიტეტის დამაარსებლისა და მისი პირველი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის შესახებ: **უნივერსიტეტის 35 წლის იუბილეს ჩვენ განსაკუთრებული სიამაყით ვხვდებით, რადგან დღეს ჩვენს შორის იმყოფება მისი დამაარსებელი და პირველი რექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე. ბატონო მერაბ, დიდი მადლობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 35 წლის ისტორიისთვის, თქვენი შრომისთვის და იმ საქმისთვის, რომელსაც დღეს ახალი თაობა ღირსეულად აგრძელებს.**

რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში გამართულ კონფერენციებზე ისაუბრა და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ონომასტიკის დარგზე: **წელს მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში საინტერესო და განსხვავებული ფორმა მოიძებნა. გაიმართა ორი ტიპის კონფერენცია: ერთი – შიდა საუნივერსიტეტო, მეორე კი – ონომასტიკური. ამით გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ ონომასტიკა ჩვენთვის მუდამ აქტუალურია.**

პროფესორმა აღნიშნა, რომ თანამედროვე მსოფლიოში სახელთა შესწავლა მხოლოდ ლინგვისტური პრობლემა აღარ არის – ის მჭიდროდ უკავშირდება ეროვნულ, ისტორიულ და იდენტობის საკითხებს: **ბოლო პერიოდში ონომასტიკური პრობლემები ყველა სფეროში იჩენს თავს. დღეს ისეთი რეალობაა, რომ სახელთა ეტიმოლოგიას ხშირად დაპირისპირებები და კონფლიქტებიც მოჰყვება. ეს ყველაფერი გვაჩვენებს, რომ ონომასტიკა მხოლოდ ენობრივი კვლევა კი არა, ეროვნული საკითხიც არის. გვინდა, ტრადიციულად შევიტანოთ ჩვენი წვლილი ონომასტიკური პრობლემების დასმისა და მეცნიერული ანალიზის კუთხით. უნივერსიტეტმა ყოველთვის შეასრულა ეს მისია და გვჯერა, რომ ამით ჩვენი ქვეყნის სამსახურს ვაგრძელებთ.** – განაცხადა ბატონმა მერაბმა.

მან, აგრეთვე, ხაზი გაუსვა ერთ მნიშვნელოვან მიმართულებასაც. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინიციატივებს: **ჩვენ დიდი ხანია, სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად ვგეგმავთ და ვატარებთ არაერთ ღონისძიებას. სწორედ ამიტომ, დეპარტამენტი ჩვენი სანდო პარტნიორია, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.**

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის სტრატეგიისა და დაგეგმვის სამსახურის უფროსმა – **თინათინ ბოლქვაძემ,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს 35 წლის იუბილე მიულოცა და მადლობა გადაუხადა მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში თანამშრომლობისთვის: **სახელმწიფო ენის დეპარტამენტი გულწრფელადაა მოხარული, რომ თქვენმა უნივერსიტეტმა აგვირჩია პარტნიორად ამ სერიოზულ საქმეში, რომელსაც ჰქვია მეცნიერების ფესტივალი. მისი დევიზი – „მეცნიერება გვაერთიანებს“, განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. მეცნიერება გვაერთიანებს იმ შემთხვევაში, როდესაც იდეები ობიექტურია; მეცნიერება გვაერთიანებს მაშინ, როდესაც მას არ ამოძრავებს მძიმე მიზნები და კერძო ინტერესები. სწორედ ამ პრინციპებზე დგას ნამდვილი აკადემიური თანამშრომლობა.**

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტს იმ შრომისთვის, რომელიც გასწიეთ სამცხე-ჯავახეთის ონომასტიკის შესასწავლად. ამ მუშაობის შედეგები უკვე აისახება სახელმწიფო ენის დეპარტამენტის პორტალზე, რაც განსაკუთრებით მისასალმებელია. ველით ახალ კვლევებს და ახალ შემართებას ამ მიმართულებით. მინდა გამოვხატო ჩვენი მხარდაჭერა უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ მაკა ბერიძის მიმართ. ჩვენ შევისწავლეთ 1+4 პროგრამის შედეგები საქართველოს მასშტაბით და უნდა აღვნიშნო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ მიმართულებით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. ქალბატონი მაკასა და ბატონი მერაბისგან მხარდაჭერის მეტი არაფერი გვიგრძვნია, რისთვისაც გულწრფელად გიხდით მადლობას.

კონფერენციის მონაწილეთ სიტყვით მიმართა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა – **თეიმურაზ გვანცელაძემ:**

მოგესალმებით, ბატონებო და ქალბატონებო. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს მე ძალიან დიდ პატივს ვცემ არა მარტო იმიტომ, რომ ჩემი მეგობრები და კოლეგები არიან უნივერსიტეტის სათავეში, არამედ იმიტომ, რომ ის უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბებულია როგორც ქართული სამეცნიერო აზრის ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულება.

როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალს ეყრებოდა საფუძველი, გარდამავალი პერიოდი იყო, ისეთი პერიოდი, როდესაც ეროვნულ ხელისუფლებას ეყრებოდა საფუძველი. მაშინ ამ რთულ რეგიონში, რომელშიც უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, უნივერსიტეტის ფილიალის გახსნას ძალიან დიდი საზოგადოებრივი და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ არაფერი ვთქვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო მხარეებზე. ბატონი მერაბი იყო ამ საქმის თავი და მთავარი ძალა და მის კისერზე გადაიარა ბევრმა ქარტეხილმა. მას გვერდით ედგნენ ჩვენი კოლეგები, ჩვენი მეგობრები, რომელთაგან, სამწუხაროდ, ზოგიერთი უკვე ცოცხალი აღარ არის.

რაც შეეხება დღევანდელ კონფერენციას, ონომასტიკა ის დარგია, რომელიც ბევრ სხვა მომიჯნავე დარგთან და, ამასთან, პოლიტიკასთანაც არის დაკავშირებული. ამიტომ, ყოველი ნაკვლევი ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია და მოითხოვს დიდ სიფრთხილეს ყველა იმ ადამიანისაგან, ვინც ხელს მოკიდებს ამ საქმეს.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი ალიბეგაშვილი.** მან ისაუბრა დეპარტამენტის მიმდინარე საქმიანობაზე და სამომავლო გეგმებზე:

მოგესალმებით დიდი პატივისცემით ყველას. მადლობა, რომ გვაძლევთ შესაძლებლობას, წარმოვადგინოთ ის სამოქმედო გეგმა, რომელსაც სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ახორციელებს. ჩვენ ვეწევით, მართლაც, მნიშვნელოვან საქმეს. – აღნიშნა ბატონმა გიორგიმ.

მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო ენის პორტალის შექმნაზე, რომელიც, მისი აზრით, გახდება ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი რე-

→

სურსი: **მომავალში პორტალი მოიცავს მრავალმხრივ ინ-ფორმაციას – ბმულებს, განმარტებებს, ეტიმოლოგიურ ცნობებს. ნებისმიერ სიტყვას, რომელიც აისახება ამ ბაზაში, ექნება სრული აღწერა ყველა შესაბამისი მონაცემის საფუძველზე. პროექტი ხელს შეუწყობს ლექსიკოლოგიური, ტერმინოლოგიური და ონომასტიკური მიმართულებების განვითარებას და ამ პროცესში სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებასაც. დიდი იმედი გვაქვს, რომ განსაკუთრებით ონომასტიკის მიმართულებით, გვექნება შესაძლებლობა, აქტიურად ვითანამშრომლოთ. მადლობა, რომ საშუალება მოგვეცა, მონაწილეობა მიგვეღო ამ მნიშვნელოვანი კონფერენციის მუშაობაში.**

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი ბულია,** რომელმაც უნივერსიტეტს 35 წლის საიუბილეო თარიღი მიულოცა და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე ისაუბრა:

უღრმესი პატივისცემით მოგესალმებით, ბატონებო და ქალბატონებო. გულწრფელად მსურს, მივულოცო უნივერსიტეტს 35 წლის იუბილე, ქალბატონ მაკა ბერიძეს და მთელ აკადემიურ საზოგადოებას. ეს არის ღირსშესანიშნავი თარიღი არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. ბატონო მერაბ, რაოდენ დიდებული ბედისწერაა, იყო უნივერსიტეტის დამფუძნებელი, რომელმაც აღზარდა არაერთი თაობა და რეგიონს განათლებისა და განვითარების ახალი ეტაპი გაუხსნა. საუკუნის შემდეგაც კი, დარწმუნებული ვარ, მთელი საქართველო მადლიერებით გაიხსენებს ბატონი მერაბ ბერიძის სახელს.

სიტყვის დასასრულს გიორგი ბულიამ უნივერსიტეტს, კონფერენციის მონაწილეებსა და მეცნიერებს შეახსენა ფესტივალის მთავარი იდეა – ერთიანობა მეცნიერების ირგვლივ და უსურვა წარმატებები სამომავლო საქმიანობაში: **გილოცავთ ამ დიდებულ იუბილეს! წარმატებას ვუსურვებ უნივერსიტეტს, ჩვენს კონფერენციას და თითოეულ მონაწილეს სამეცნიერო საქმიანობაში.**

მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ, კონფერენციამ მუშაობა გააგრძელა სექციებზე, სადაც წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი თემატიკა.

ტოპონიმიის სექციის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი **მერაბ ბერიძე.** ბატონმა მერაბმა შემაჯამებელ ღონისძიებაზე შემდეგი განაცხადა:

საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო კონფერენცია გამოვიდა. ორწლიანი პაუზის შემდეგ, ჩვენს უნივერსიტეტში ონომასტიკური მიმართულებით მუშაობა ერთგვარად განვაახლეთ და შევავსეთ არსებული ხარვეზი. იმედი მაქვს, ამ ეტაპიდან კონფერენციის ტრადიცია კვლავ გაგრძელდება. ჩვენი სექციის მუშაობა განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. **მარიამ ბალასანიანმა-გოგნაძემ** წაიკითხა მოხსენება თემაზე – **„ხოჯაბეგის ისტორია ეტიმოლოგიისათვის“.** მოხსენებაში განხილული იყო ტოპონიმი ხოჯაბეგი, რომელიც ჯავახეთში შედარებით გვიან ჩნდება და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ტოპონიმადაა ქცეული.

ჩემი მოხსენება შეეხებოდა თემას – **„ – არ სუფიქსი ისტორიულ მესხურ დიალექტსა და ტოპონიმიაში“.** ვეცადე, მესხური დიალექტის ელემენტები მეპოვა ტოპონიმიურ მასალაში და გამეკეთებინა შესაბამისი ისტორიულ-ენობრივი დაკვირვება.

კესო გეჯუამ წარმოადგინა მოხსენება **„გალის მუნიციპალიტეტის სოფელ ოტობაიის ტოპონიმია“,** სადაც ხაზგასმით აღინიშნა დღევანდელი რთული ონომასტიკური ვითარება გალის რეგიონში.

ნინო ზედგინიძემ შემოგვთავაზა თეორიული ხასიათის მოხსენება – **„ონომასტიკა ანტიკური პერიოდიდან დღემდე: ისტორიული და ტერმინოლოგიური პრობლემები“,** სადაც წარმოდგენილი იყო ონომასტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები და თანამედროვე ტერმინოლოგიური გამოწვევები.





მიხეილ ლაბაძის მოხსენება – **„გაღმა და გამოღმა სარფის მიკროტოპონიმიკა“** – სიახლეს წარმოადგენდა. ავტორმა დეტალურად გაანალიზა ტოპონიმ სარფი-ს ეტიმოლოგია და დაასაბუთა, რომ თავდაპირველად არსებობდა გაღმა სარფი და გამოღმა სარფი, რომელთა გაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა დღევანდელი ტოპონიმიური ფორმა. მოხსენება გამდიდრებული იყო ენობრივი მაგალითებითაც.

საინტერესო გახლდათ **ქეთევან ქუთათელაძის** ნაშრომი – **„რუებისა და სარწყავი არხების სახელწოდებანი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით“.** აღსანიშნავია, რომ ონომასტიკის კვლევა დიდ სარგებელს იღებს ინტერდისციპლინარული თანამშრომლობით. როდესაც ისტორიკოსები, ეკოლოგები, ფილოლოგები და სხვა დარგების სპეციალისტები ერთიანდებიან, კვლევის პროცესიც უფრო მრავალმხრივი და შედეგიანი ხდება.

საინტერესო გახლდათ **ნიკოლოზ ოთანაძის** მოხსენება – **„კომპოზიტური გეოგრაფიული სახელები ფრონეს ხეობიდან“.** თემა განსაკუთრებული ინტერესით წარიმართა, რადგან იგი შინაარსობრივად ეხმიანებოდა კესო გეჯუას მოხსენებას. როგორც ცნობილია, ოტობაია და ფრონეს ხეობა ჩვენი თანამედროვეობისა და დღევანდელი რეალობის ნაწილი გახლავთ, რაც საკითხს დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს.

სექციის მუშაობა ხასიათდებოდა აქტიურობითა და მაღალი სამეცნიერო დონით. თითოეული მოხსენება წარმოადგენდა ორიგინალურ კვლევას და მნიშვნელოვანი იყო როგორც ონომასტიკური, ისე ზოგადენობრივი კვლევის თვალსაზრისით. მონაწილეთა შორის გამართული მსჯელობა და გამოცდილების გაზიარება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ონომასტიკა ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა. მინდა, მადლობა გადავუხადო სექციის ყველა წევრს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, პროფესიონალიზმისთვის და კონფერენციის საერთო წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის.

ანთროპონიმიის სექციას ხელმძღვანელობდა პროფესორი **თეიმურაზ გვანცელაძე:**

ონომასტიკური კონფერენციის ანთროპონიმიის სექციამ მუშაობა საინტერესო და მრავალფეროვანი მოხსენებებით დაიწყო. სექციის პირველი მონაწილე გახლდათ **შორენა ახალაია** მოხსენებით **„შერვაშიძეჩაჩბა – აფხაზთა უძველესი საგვარეულო დინასტია“.** მკვლევარმა წარმოადგინა ამ საგვარეულოს ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

მაკა ბერიძის მოხსენება – **„ეთნოტერმინი და მისი დამკვიდრების პროცესი“** – სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან თემას შეეხო. საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ უნდა აღინიშნოს ქართულად (და სხვა ენებზე) 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებული მოსახლეობა. სექციის წევრებმა მიიჩნიეს, რომ საჭიროა ამ საკითხზე დოკუმენტის მომზადება და სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან შეთანხმება, რათა უნივერსიტეტის პოზიცია ოფიციალურ დონეზეც დაფიქსირდეს.

ჩემი მოხსენება შეეხებოდა აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის გამოცემულ ნაშრომს, რომელიც მკვეთრად ანტიქართული და მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. აღვნიშნავ, რომ წიგნი უფრო პოლიტიკურ იდეოლოგიას ემსახურება, ვიდრე მეცნიერულ კვლევას და სწორედ ამიტომ საჭიროა მისი არგუმენტების მეცნიერული კრიტიკა.

განსაკუთრებული ინტერესით მოისმინა აუდიტორიამ ასოცირებული პროფესორის **ეკა დადიანის** მოხსენება – **„მეტსახელები (სახელმეტები) ტაოში“.** ეს მოხსენება არა მხოლოდ თემით, არამედ ავტორის პროფესიული გზის თვალსაზრისითაც იყო აღსანიშნავი. ეკა დადიანი იმ ახალგაზრდა მეცნიერებს მიეკუთვნება, რომლებიც ჩვენს თვალწინ გაიზარდნენ – მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტები იყვნენ, დღეს კი უკვე ქართველოლოგიაში წამყვან მკვლევართა შორის არიან.

სასიამოვნო სიახლე იყო ისიც, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ. მათ შორის იყვნენ დოქტორანტები, რომლებიც აგრძელებენ იმ სამეცნიერო ტრადიციას, რომელსაც საფუძველი უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა ჩაუყარეს. დოქტორანტ **ლელა თელიაშვილის** მოხსენება **„მეტაფორისა და მეტონიმიის საკითხი ახალციხის მუნიციპალიტეტის გვარებში“** გამოირჩეოდა ლინგვისტური ანალიზის სიზუსტითა და საინტერესო მეცნიერული ხედვებით.

აღსანიშნავია ასოცირებული პროფესორის **ლამზირა კობაიძის** მოხსენება – **„ერთი ფუძიდან მომდინარე რამდენიმე გვარის შესახებ მთიულურში“,** რომელიც მკითხველსა და აუდიტორიას მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე აგებული, ლოგიკურად ჩამოყალიბებული არგუმენტებით დაამახსოვრდა. მსგავსად საინტერესო აღმოჩნდა ასოცირებული პროფესორის **ნათელა მელიქიძის** მოხსენება **„მეტსახელთა სემანტიკურ ჯგუფებად დაყოფის საფუძველი“.**

ასოცირებული პროფესორი **მაია ქუქჩიშვილი** ერთ-ერთია იმ მკვლევართაგან, ვის პირველ სამეცნიერო ნაბიჯებსაც შევესწარით. წელს წარდგა მოხსენებით **„მთისძირის (ყვარლის მუნიციპალიტეტი) შტოგვართა და მეტსახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები“.** კვლევამ განსაკუთრებული ინტერესით გამოიწვია მსმენელთა ყურადღება.

საერთო ჯამში, ანთროპონიმიის სექციის მუშაობა ნაყოფიერი და შინაარსიანი იყო. თითოეულ მოხსენებაში გამოიკვეთა ქართული სახელოვნებისა და ლინგვისტური მემკვიდრეობის კვლევისადმი სიყვარული, სამეცნიერო მიდგომის სიზუსტე და თემისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება.

სექციის ხელმძღვანელმა, პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძემ, სიტყვით გამოსვლისას მადლობა გადაუხადა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს კონფერენციის მაღალ დონეზე ორგანიზებისათვის: დიდი მადლობა მასპინძლებს იმისთვის, რომ შეგვაძლებინეს აზრების გაზიარება, სიახლეებზე მსჯელობა და ახალი თემების სიღრმისეულად გააზრება. უნივერსიტეტს ვუსურვებ კიდევ მრავალი 35 წლისთავი იზეიმოს და მუდმივი წარმატება ახლდეს მის სამეცნიერო საქმიანობას.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ:**

მინდა, თითოეულ მონაწილეს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. მათ მონაწილეობას ამ კონფერენციაში ვიღებთ, როგორც უნივერსიტეტის თანადგომას, მისი იუბილეს მოლოცვას. მადლობა ყველას იმ გზავნილებისთვის, რაც დღეს თქვენგან მოვისმინეთ. გამოვეხმაურები ონომასტიკის ცალკე კონფერენციის ჩატარებას. გადავწყვიტეთ, რომ ონომასტიკის კონფერენციისათვის განსაკუთრებული დღე დაგვეთმო. ჯერ იმიტომ, რომ თქვენი თანადგომის იმედი გვქონდა, ასევე, როგორც ბატონმა თეიმურაზმა აღნიშნა, იმიტომ, რომ ამ უნივერსიტეტში ბატონი მერაბ ბერიძეა. გარკვეულწილად, ამ უნივერსიტეტს ონომასტიკური სკოლის ფუნქციონირების რეალობა აქვს. ჩვენ ეს ფუფუნება გვაქვს. ბატონი მერაბი გვიკრძალავს თქმას, მაგრამ ეს იყო შეფარული მიძღვნა მისთვის, როგორც უნივერსიტეტის დამაარსებლისთვის 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ თითოეულ ქართულად მოაზროვნე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მეცნიერს უნდა ეგულებოდეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. მეტიც, ჩვენ შემთხვევით არ ავირჩიეთ დევიზი – „მეცნიერება გვაერთიანებს“. უღრმესი მადლობა თითოეულ თქვენგანს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ონომასტიკური კონფერენცია არის მტკიცებულება იმისა, რომ ეროვნული მეცნიერება იქ იძლიერებს ფესვებს, სადაც მეცნიერებისადმი დიდი პასუხისმგებლობა იკვეთება. 35-წლიანი ისტორიის ფონზე, უნივერსიტეტი კვლავაც რჩება ცოდნის, ტრადიციისა და სიახლეების ერთიან სივრცედ, სადაც მეცნიერება, მართლაც, აერთიანებს.

ლიკა ზაზაშვილი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„შალვა ვარდიძე - მოღვაწეობა ღვთისთვის და ერისთვის“

პირველი გვერდიდან

კონფერენციას შალვა ვარდიძის შთამომავლები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე წარმოდგენილმა მოხსენებებმა მოიცვა როგორც ქართული კათოლიკური ფონდის თანამედროვე საქმიანობის შეფასება, ასევე, სტამბოლის ქართვლ კათოლიკე მამათა გვარების ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი, ვარდიძის კულტურულ-საზოგადოებრივი ხედვის შეფასება, მისი პიროვნული და სოციალურ-კულტურული გარემოს განხილვა და ქართული კათოლიკური ფონდის როლის გააზრება საქართველოს სამეცნიერო სივრცეში.

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ასოცირებული პროფესორის, **ნატო ყრუაშვილის** მონოგრაფიის – **„შალვა ვარდიძე – სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მონასტრის გამგე“** პრეზენტაცია, რომელმაც დეტალურად წარმოაჩინა შალვა ვარდიძის ადმინისტრაციული, ტექსტოლოგიური და ეკლესიური საქმიანობა.

შალვა ვარდიძე მნიშვნელოვანი ფიგურაა XX საუკუნის ქართულ ეკლესიურ-კულტურულ ისტორიაში. მისი მოღვაწეობა მოიცავს დიასპორული ეკლესიური სტრუქტურების მართვას, თარგმნითი საქმიანობისა და საასულიერო განათლების მხარდაჭერას. ამავე დროს, ვარდიძის საქმიანობა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ქართულ კათოლიკურ ისტორიოგრაფიაში, სადაც მრავალი საკითხი დღემდე კვლევის პროცესშია.

კონფერენციამ ნათლად წარმოაჩინა შალვა ვარდიძის წვლილი როგორც ქართული კათოლიკური მემკვიდრეობის, ისე საერთო ქართული კულტურის განვითარებაში.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე:**

ის, რომ დღეს კონფერენციაში მონაწილეობენ გამორჩეული სტუმრები, მტკიცებულებაა იმისა, რომ ქართველთა კათოლიკური მემკვიდრეობა არ არის წარსულის ნაწილი, არამედ ის თანამედროვეობის აქტიური შემოქმედი ძალაა. დღევანდელი კონფერენცია განსაკუთრებულად სიმბოლურ გარემოში იმართება – პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, სადაც თითოეულ დეტალში იგრძნობა ქართული სულის სითბო და მეხსიერების ძალა. დარბაზის მთავარი კედლის პორტრეტიდან გვიმზერს თავად ბატონი ზაზაძე, ადამიანი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნა ქართულ საქმეს, სარწმუნოებასა და ქართველობის შენარჩუნებას უცხო მიწაზე. სწორედ, მისი ვაჟის, სიმონ ზაზაძის ფინანსური დახმარებით აღიჭურვა ეს დარბაზი თანამედროვედ, რათა გამართულიყო მეცნიერებისა და განათლებისთვის მნიშვნელოვანი შეხვედრები. დღეს, როდესაც ჩვენ ვსხედვართ ამ სივრცეში, პავლე ზაზაძის სურათის მოპირდაპირედ, ვხედავთ მის შთამომავლებს, მის თანამოსახელეს – პოლ ზაზაძეს, ქალბატონ ნატალი ზაზაზეს, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ ოჯახის სამეცნიერო და კულტურულ გზას. ეს არის ცოცხალი კავშირი თაობებს შორის, დროის უწყვეტი ძაფი, რომელიც აერთიანებს წარსულს, აწმყოს და მომავალს.

რექტორმა გაიხსენა სტამბოლში, ზაზაძეებთან სტუმრობის პერიოდი და კიდევ ერთხელ გამოხატა პატივისცემა ამ ღირსეული ოჯახის მიმართ:

ჩვენ გვქონდა ბედნიერება, პირადად ვწვეოდით სტამბოლში ფონდს, პირადად შევხვედროდით ზაზაძეთა ოჯახს. ჩვენს მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა დიდი სიყვარული, სითბო და პასუხისმგებლობა, რომელიც ოჯახის თითოეული წევრისგან იგრძნობა.

მისასალმებელი გამოსვლის დასასრულს, ქალბატონმა მაკამ უნივერსიტეტის საიუბილეო წლის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. აღნიშნა უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის დამსახურება აკადემიურ დონეზე ქართულ-თურქული ურთიერთობების გაძლიერებასა და განვითარებაში.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სტამბოლის ქართული კათოლიკური ფონდის თავმჯდომარე ბატონი **პოლ ზაზაძე:**

ძალიან დიდი მადლობა კონფერენციის ორგანიზებისთვის. განსაკუთრებული მადლობა ჩემს საქართველოს. მადლობა შალვა ვარდიძეს, გამორჩეულ პიროვნებას საქართველოდან. შალვა ვარდიძე არის ნამდვილი ეროვნული გმირი. მისი შეგროვებული და დატოვებული მასალები არის ძალიან მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია, რომ შალვა ვარდიძის მიერ დატოვებული მასალა, როგორც უცხოეული, ასევე, ქართველ მკვლევართათვის ხელმისაწვდომია უფასოდ.

მინდა მადლობა ვუთხრა სიმონ ზაზაძეს, რომელმაც დაგვიტოვა ქართველ კათოლიკეთა როგორც კულტურული, ასევე, ისტორიული მემკვიდრეობა. განსაკუთრებული მადლობა პროფესორ შუშანა ფუტკარაძეს, რომელმაც ამ მემკვიდრეობის შესწავლა დაიწყო. სტამბოლში ქართული არქივის ნახვის საშუალება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

ჩვენი ორგანიზაცია ფინანსურად ეხმარება არა მხოლოდ ქართველ, არამედ ყველა იმ ადამიანს, ვინც დაინტერესებულია ამ მასალის შესწავლით. ასევე, ფონდი ეხმარება მკვლევრებს სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. მადლობა კიდევ ერთხელ უნივერსიტეტს კონფერენციის ორგანიზებისთვის. წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ მომხსენებელს.

საზოგადოების წინაშე მისასალმებელი სიტყვით წარსდგა სტამბოლის მალთეფეს უნივერსიტეტის პროფესორი **ისმეთ დინდარ-მიქელაძე:**

ქალბატონო მაკა, ძვირფასო აკადემიურო პერსონალო, სტუდენტებო, მოგესალმებით დიდი პატივისცემით. დიდი მადლობა უნივერსიტეტს კონფერენციაზე მოპატიჟებისთვის. ეს ჩემთვის დიდი პატივია. კათოლიკური ეკლესიის არსებობამ თურქეთში ძალიან დიდი საქმე გააკეთა. იმ პერიოდში ამ ეკლესიამ ძალიან დიდი როლი ითამაშა, შეინარჩუნა ქართველობა და ძალიან დიდი საქმეები გააკეთა. მე ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა ბატონ სიმონ ზაზაძესთან. ძალიან კარგი ადამიანი იყო. სამწუხაროდ, შალვა ვარდიძის შესახებ არ ვიცოდი. უფრო მეტს გავიგებ ამ კონფერენციიდან. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორი **მამა აკაკი ჭელიძე.** მან ყურადღება გაამახვილა ასოცირებული პროფესორის ნატო ყრუაშვილის ავტორობით გამოცემულ მონოგრაფიაზე „შალვა ვარდიძე – სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მონასტრის გამგე“, რომლის პრეზენტაციაც აღნიშნულ კონფერენციაზე შედგა:

მოგესალმებით დამსწრე საზოგადოებას, მოგესალმებით ჩვენო მეგობრებო სტამბოლიდან. დიდი პატივია ჩემთვის აქ ყოფნა. ჯერ კიდევ სოფელ ხიზაბავრის ეკლესიის წინამძღვრად ვითვლები და ჩემი მრევლის წევრია ქალბატონი ნატო ყრუაშვილი. ქალბატონი ნატო აგროვებს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც ზაზაძეების ოჯახის მიერ დიდი რუდუნებითაა შემონახული. შალვა ვარდიძე არის იმ პატივსაცემ პიროვნებათა შორის, რომელიც თავისი შრომით გვერდში უდგას გვარამაძეს, ხარისჭირაშვილს. კონფერენციაზე ჩვენი ისტორიის ყველაზე კარგი პერიოდის შესახებ უნდა მოვისმინოთ, იმის შესახებ, რომ ის შრომა, რომელიც ხარისჭირაშვილისა და მისი საძმოს მიერ იქნა გაწეული და რომელიც სტამბოლში ბიბლიოთეკასა და არქივშია შემონახული, ნამდვილად ღირდა შრომად.

საზოგადოების წინაშე წარსდგა ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო აღმსარებლობის სრულიად დასავლეთ საქართველოს დეკანი, საეპისკოპოსო ვიკარიუსი **მამა გაბრიელ ბრაგანტინი:**

ჩემთვის დიდი პატივია, თქვენს შორის რომ ვარ და ვესწრები კონფერენციას. მქონდა საშუალება, მეთანამშრომლა ქალბატონ ნატო ყრუაშვილთან იმ მონოგრაფიაზე, რომლის პრეზენტაციაც დღეს შედგება. ღირსეული წიგნია. უნივერსიტეტში დღეს განსაკუთრებული გარემოა შექმნილი. იმ შრომას, რომლის განვითარებასაც უნივერსიტეტი მუდმივად უწყობს ხელს, გაზაფხულზე თესვის დროს გავს. დღეს შემოდგომის სეზონია, ნაყოფის მიღების, შედეგების მიღების დღე, როდესაც ბევრ საინტერესო მოხსენებას და მნიშვნელოვანი წიგნის პრეზენტაციას ვიხილავთ.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა მსოფლიო საპატრიარქო საყდრის არქიმანდიტრმა, თეოლოგიის დოქტორმა **მამა ილია ჯინჯოლავამ,** რომელმაც მართლმადიდებელი მამების სტამბოლის ქართულ კათოლიკურ სავანესთან კავშირზე გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ კათოლიკურ სავანესა და მართლმადიდებელ მოძღვართა შორის გარკვეული კავშირები გასული

→

საუკუნის დასაწყისიდანვე არსებობდა:

ჩვენთვის ცნობილია, რომ ათონის წმინდა მთის ივერის მონასტრიდან წამოსული უკანასკნელი ბერები, საქართველოში გამგზავრებამდე, სტამბოლის კათოლიკეთა სავანეს ესტუმრნენ და აქ დაყვეს გარკვეული დრო. სავანის ბიბლიოთეკას გადასცეს საღვთისმეტყველო და საღვთისმსახურო წიგნების დიდი ნაწილი, რომელიც დაცულია ამ არქივში. ასევე, წმინდა გრიგოლ ფერაძეს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონია ქართულ კათოლიკეთა სავანესთან, რომელიც სტამბოლის ქართული ბიბლიოთეკის მომხმარებელი იყო. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს არქივი, ბიბლიოთეკა, მიხვდება, თუ რამხელა შრომაა ჩადებული ქართველ კათოლიკე მამათა მხრიდან. ჩვენგან ეს შრომა სათანადო დაფასებას და კვლევას საჭიროებს. მინდა მადლიერებით აღვნიშნო სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ფონდისა და ჩვენს, როგორც კონსტანტინეპოლის ქართულ სამღვდელოებას შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობა და ის ძლიერი მხარდაჭერა, რომელსაც აღნიშნული ფონდი და პირადად პოლ ზაზაძე დიდი პასუხისმგებლობით ახორციელებს ჩვენი მისამართით. მინდა წარმატებები ვუსურვო კონფერენციის მონაწილეებს.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის სპეციალისტი **რეზო ანდღულაძე:**

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერზე როდესაც საუბრობენ, არ შემიძლია არ ვთქვა ადიგენის რაიონის სოფელ არლიდან წასული ყმაწვილების შესახებ, რომლებიც იქ სწავლობდნენ, შემდეგ დარჩნენ და მოღვაწეობა იქვე გააგრძელეს. მაშინ, როდესაც საქართველოში, კერძოდ, სამცხე -ჯავახეთში, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას უშლიდნენ და არ იბეჭდებოდა ქართულენოვანი წიგნები, ეს ადამიანები წავიდნენ სტამბოლში, ოსმალეთის დედაქალაქში და ქართული ეკლესია ააშენეს, ქართულ ენაზე აღევლინებოდა წირვა-ლოცვა, ჰქონდათ ქართული სტამბა. ეს ფასდაუდებელი შრომაა ქართველობისათვის. 8-10 წლის ბავშვები წავიდნენ საქართველოდან და რამხელა სიყვარული ჰქონდათ სამშობლოსადმი, რომ მათი ყოველი ნაბიჯი მიმართული იყო ქართული საქმისაკენ. ეს მისაბაძი უნდა იყოს საზღვარგარეთ მცხოვრები ემიგრანტებისთვისაც.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე:**

მივესალმები დამსწრე საზოგადოებას. განსაკუთრებით მინდა მივესალმო ბატონ პოლს და ქალბატონ ნატალის. მე მათთან სტუმრობისას შევპირდი, რომ ზაზაძეთა გვარის ისტორია – ეტიმოლოგიას აუცილებლად გავაკეთებდი და დღეს ის მომენტია, რომ სიამოვნებით ვასრულებ ამ დაპირებას. – აღნიშნა ბატონმა მერაბმა და აუდიტორიის წინაშე წარადგინა მოხსენება **„სტამბოლის სავანის მონასტრის ქართველ კათოლიკე მამათა გვარების ისტორია-ეტიმოლოგიისათვის (ვარდიძე, ზაზაძე)“.**

კონფერენციაზე მოხსენებებით წარსდგენენ სტამბოლის ქართული კათოლიკური ფონდის მმართველი საბჭოს წევრი ნატალი ზაზაძე თემით: **„ქართული კათოლიკური ფონდი – შალვა ვარდიძის ღირებულებების მემკვიდრე და გამგრძელებელი“,** ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენ-პროფესორი **სუდან ალთუნი** თემით – **„კულტურისა და თავისუფლების გამოძახილი: შალვა ვარდიძე“,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორი **თეა თათენაშვილი – „შალვა ვარდიძე და პეტრე ტატალაშვილი – ერთი სოფლის შვილები და მეგობრები“** და პროფესორი **მაკა ბერიძე** თემით – **„სტამბოლის ქართული კათოლიკური ფონდის მნიშვნელობა საქართველოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცისთვის“.**

მოხსენებების წარდგენის შემდეგ გაიმართა პრეზენტაცია მონოგრაფიის **„შალვა ვარდიძე – სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მონასტრის გამგე“.**

მონოგრაფიის შესახებ დამსწრე საზოგადოებას წიგნის ავტორი, ასოცირებულ პროფესორი **ნატო ყრუაშვილი** თავად ესაუბრა. მან ერთ-ერთ საინტერესო დეტალზე გაამახვილა ყურადღება:

წიგნი დამთავრებული მქონდა და არ ვიცოდით შალვა ვარდიძის გარდაცვალების თარიღი. ამ პერიოდში ქართველი მეცნიერები იყვნენ ლიბანში ჩასული. ვთხოვე, მოეძებნათ შალვა ვარდიძის საფლავი. ამ კვლევა-ძიების შემდეგ, დადგინდა მისი გარდაცვალების თარიღი და ეს 1958 წლის 20 დეკემბერია.

ქალბატონმა ნატომ მონოგრაფიის შექმნის შესახებ შემდეგი განაცხადა:

მონოგრაფია ემერიტუს-პროფესორის შუშანა ფუტკარაძის წინადადებით დაიბეჭდა. ასევე, რომ არა საქართველოში კათოლიკური სამოციქულო ეკლესია, მათი ხელმძღვანელობა, მონოგრაფია სამზეოზე ვერ გამოვიდოდა. ეს არ არის ერთადერთი წიგნი, რომელიც მათ მიიტანეს ქართველ ხალხამდე. ამ წიგნით, ფაქტობრივად, შალვა ვარდიძე საქართველოში დავაბრუნეთ.

კონფერენციაზე აუდიტორიის წინაშე შალვა ვარდიძის შთამომავალი და წიგნის რეცენზენტი, ქალბატონი **ნატალი ვარდიძე** წარსდგა:

მე ვარ შალვა ვარდიძის ძმის შვილიშვილი. მან გვაღიარა შვილებად. ადრე ჩამოსული იყო ჩვენთან ცნობილი ისტორიკოსი პავლე ინგოროყვა და ჩუმად გვითხრა, რომ გარდაიცვალა შალვა ვარდიძეო... დიდებული წინაპარი გყავდათო. ჩემს ბავშვობაში, გარეთ არ გვიშვებდნენ შალვა პაპას გამო. პაპაჩემს სცემდნენ ძმის გამო. რთული დღეები გავიარეთ. მადლობელი ვარ ყველასი, რომ ასე სათანადო ყურადღებას იჩენთ მისი შემოქმედების მიმართ. ქალბატონ ნატოს დიდი მადლობა. ეს წიგნი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

მონოგრაფიის შესახებ ისაუბრა წიგნის რეცენზენტმა, ქალბატონმა **ციური ლაფაჩმა:**

მონოგრაფიაში ღრმად არის განხილული შალვა ვარდიძის ბიოგრაფია, საქმიანობა და მისი დიდი სიყვარული სამშობლოს მიმართ. როდესაც პირველად მოვხვდი სტამბოლის კათოლიკურ სავანეში და გადავხედე ამ ნაშრომებს, მართლაც, დიდი სიამაყის გრძნობა გამომყვა თან. ეს უნდა ნახოთ და შეიგრძნოთ, რათა მიხვდეთ, რა გააკეთეს საქართველოდან წასულმა ჩვენმა პატარა ბიჭებმა. ქალბატონი ნატო ჩაუღრმავდა ამ საკითხს და უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია წარმოგვიდგინა, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

კონფერენციისა და მონოგრაფიის მნიშვნელობაზე ისაუბრა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელმძღვანელმა ბატონმა **ჯუმბერ ჩოხელმა:**

მადლობა უნივერსიტეტს კონფერენციის მოწყობისთვის. სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი იყო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების მოსმენა. ახალგაზრდა თაობამ უნდა იცოდეს, როგორი ადამიანების მიერ მოვიდა ჩვენი სამშობლო დღემდე. დიდი მადლობა ქალბატონ ნატოს საინტერესო მონოგრაფიისათვის. მან კიდევ ერთხელ გააცოცხლა ის უდიდესი მოღვაწეები ჩვენ წინაშე, რომლებმაც სტამბოლში პატარა საქართველო შექმნეს.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „შალვა ვარდიძე – მოღვაწეობა ღვთისთვის და ერისთვის“, წარმოადგენდა მნიშვნელოვან პლატფორმას შალვა ვარდიძის მეცნიერული, კულტურული და სასულიერო მოღვაწეობის შესწავლისთვის. კონფერენციამ უზრუნველყო შალვა ვარდიძის როლის გააზრება, როგორც ქართული კათოლიკური ეკლესიისა და დიასპორული მემკვიდრეობის, ისე ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში. ღონისძიებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი ქართული მეცნიერების, კულტურისა და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში.

ლიკა ზაზაშვილი

აფხაზური ცენტრის პროექტი ახალგაზრდობის სააგენტოს კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულია

ახალგაზრდობის სააგენტოს კონკურსები შესაძლებლობაა, აქციო იდეები რეალობად. სააგენტო ორიენტირებულია ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე რეგიონში რეგისტრირებულ არასამეწარმეო იურიდიული პირების, სტუდენტური საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობაზე.

აფახაზური ცენტრის მიერ წარდგენილი პროექტი – **„ახალგაზრდული სამშვიდობო კონცეფცია თანაცხოვრების განმტკიცებისთვის“,** კომისიის მიერ დადებითად შეფასდა და ახალგაზრდული სააგენტოს დაფინანსება მიიღო.

იწყება პროექტის განხორციელება. საქართველოში მშვიდობის მშენებლობა ვერ იქნება მდგრადი ახალგაზრდების აქტიური, გააზრებული და თანმიმდევრული ჩართულობის გარეშე. სწორედ ამ რწმენაზეა დაფუძნებული საპროექტო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდული სამშვიდობო კონცეფციის შემუშავებას – ცოცხალ, ინკლუზიურ და პრაქტიკულ დოკუმენტს, რომელიც ახალგაზრდებს აქცევს არა დაპირისპირების მონაწილეებად, არამედ დიალოგისა და თანამშრომლობის მატარებლებად.

პროექტის მთავარი მიზანია ახალგაზრდებში ნდობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის კულტურის გაღრმავება, მათი როლის გაძლიერება მშვიდობის შენების პროცესში და სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება. კონცეფცია გახდება ერთგვარი ჩარჩო, სადაც გაერთიანდება ენგურს აქეთ საქართველოს ახალგაზრდობა და რომელიც შეთავაზებული იქნება დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, როგორც ნდობის აღდგენისა და მშვიდობის, კულტურის გაღრმავების გზამკვლევი.

ინიციატივა ეფუძნება კომპლექსურ და მულტიდისციპლინურ მიდგომას. კონცეფციის შემუშავებაში ჩართული იქნებიან როგორც ახალგაზრდები და სტუდენტები, ისე კვალიფიციური ექსპერტები, ასევე, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს თანამშრომლობა უზრუნველყოფს, რომ დოკუმენტი არ იყოს მხოლოდ იდეალისტური ხედვა, არამედ რეალისტურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და პრაქტიკაში განხორციელებად მიდგომებზე აგებული.

ახალგაზრდების მონაწილეობა პროექტის ბირთვია. ისინი გამოხატავენ არა მხოლოდ საკუთარ საჭიროებებსა და ხედვებს, არამედ თავად ქმნიან კონცეფციას, რაც ზრდის პასუხისმგებლობის, თანამონაწილეობისა და მდგრადობის ხარისხს. „გარედან დაწესებული“ დოკუმენტის ნაცვლად იქმნება საკუთარი იდეების შედეგი, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს მოტივაციას, გახდნენ მშვიდობის პოლიტიკის აქტიური შემქმნელები და გამტარებლები. მათი ინოვაციური აზროვნება და ციფრული უნარები კონცეფციას შესძენს თანამედროვე ფორმებს – მედიის, ხელოვნების, ონლაინ პლატფორმებისა და ახალგაზრდული კამპანიების გამოყენებით.

პროექტი, ასევე, უპასუხებს რეალურ საჭიროებას, რომელიც გამოვლინდა ორგანიზაციის – **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“,** საქმიანობის პროცესში. ორგანიზაციის წევრი სტუდენტები თავად მონაწილეობდნენ თავიანთი წესდების შემუშავებაში და კარგად აცნობიერებენ, რომ მხოლოდ ფორმალური დოკუმენტები არ არის საკმარისი, აუცილებელია ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული გზამკვლევი, რომელიც განსაზღვრავს ახალგაზრდული სამშვიდობო საქმიანობის მიმართულებებს.

ექსპერტებისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ჩართულობა უზრუნველყოფს ხედვების ბალანსს, ამცირებს მიკერძოების რისკს და აძლიერებს კონცეფციის ლეგიტიმაციას. შედეგად იქმნება დოკუმენტი, რომელიც აღიქმება არა როგორც ერთი ჯგუფის ინიციატივა, არამედ როგორც საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ახალგაზრდული ხედვა მშვიდობის მშენებლობისთვის.

სამშვიდობო კონცეფციის განხილვასა და საჯარო დისკუსიებში ჩართვის შესაძლებლობა ექნება ფართო საზოგადოებას. ეს პროექტი არის ინვესტიცია მომავალში – მომავალში, სადაც ახალგაზრდები არიან არა კონფლიქტის მემკვიდრეები, არამედ მშვიდობის შემოქმედები.

თანამშრომლობა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში

8 ნოემბერს, ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში გაიმართა მულტიდისციპლინური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე – **„მდგრადი განვითარება, ინსტიტუტები და გლობალური გამოწვევები“,** რომელშიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა მიიღეს მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ კონფერენციის თანაორგანიზატორ უნივერსიტეტებს შორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც იყო.

კონფერენციაზე 12 ქვეყნის მეცნიერ-მკვლევარი იყო წარმოდგენილი. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მონაწილეობდნენ პროფესორები: **ცისკარა ზარანდია, ლავრენტი ჩიბურდანიძე, როინ თათეშვილი,** ასოცირებული პროფესორები **ნანა ზაზაძე, ნანა ჯღარკავა,** ასევე, დოქტორანტები **ბესიკ ცქიფურიშვილი, დათა დათაშვილი.**

წარმოდგენილი მოხსენებების თემატიკა იყო მრავალფეროვანი, რამაც ხელი შეუწყო მკვლევრებისა და პრაქტიკოსებისთვის უახლესი ინოვაციების, არსებული ტენდენციებისა და პრობლემების, ასევე, პრაქტიკული გამოწვევებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მსჯელობასა და სიახლეების გაგებას.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა საინტერესო მოხსენებები წარადგინეს, რაც გამოხატავდა უნივერსიტეტის კვლევითი შესაძლებლობებისა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამეგობრობაში აქტიური ჩართულობის მაღალ დონეს.

ჩვენი კორესპონდენტი

შეხვედრა ღვაწლმოსილ მეცნიერთან

პირველი გვერდიდან

ღონისძიება უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** გახსნა:

გვექნება შესაძლებლობა, ვუმასპინძლოთ ქალბატონ თინა იველაშვილს. ჩვენს სტუდენტებს მიეცემათ შესაძლებლობა, მეტად გაიცნონ ის. ქალბატონი თინა ისტორიკოსი და ეთნოლოგია, მრავალმხრივი აკადემიური გამოცდილებით, მათ შორის – რელიგიათმცოდნეობის სფეროშიც. იგი გამოირჩევა საქართველოში არსებული რელიგიური მიმდინარეობების შესწავლით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა შეძლონ მასთან დიალოგი, დაუსვან კითხვები და უკეთ გაიცნონ მისი პროფესიული გზა.

შეხვედრა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში, ინტერვიუს ფორმატით. პირველი კითხვა თავად რექტორმა დასვა:

– ქალბატონო თინა, საქართველო გამორჩეულია თავისი ტრადიციებითა და კულტურული მრავალფეროვნებით. როგორც ეთნოლოგს, თქვენ ყველაზე უკეთ გესმით, რას გულისხმობს ეს მრავალფეროვნება. გთხოვთ, მოკლედ მიმოიხილოთ, რა წარმოადგენს ეთნოლოგიის საგანს, რა არის ამ მეცნიერების მნიშვნელობა საქართველოსთვის და რატომ აირჩიეთ ეთნოლოგიური კვლევა თქვენს ძირითად სამეცნიერო მიმართულებად.

თინა იველაშვილი: ეთნოლოგიური კვლევა მრავალშრიანი დისციპლინაა. იგი სწავლობს ტრადიციებს, კულტურას, ცივილიზაციას. ეთნოგრაფიის მიმართულებით განიხილება ნათესაობის სისტემა, მატერიალური და სულიერი კულტურა, საოჯახო და სოციალურ ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტები, ასევე საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთქმედება. ჩემი ძირითადი კვლევითი სფერო მოიცავს სოციალური ურთიერთობებისა და რელიგიური მიმართულებების შესწავლას.

ქალბატონ თინას მიესალმა უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პროფესორი **მერაბ ბერიძე.** მან ისაუბრა ქალბატონი თინა იველაშვილის საქმიანობის დასაწყისის შესახებ ჯერ კიდევ თსუ-ს მესხეთის ფილიალში. ბატონმა მერაბმა გაიხსენა ფილიალის ჩამოყალიბების პერიოდი, როდესაც უნივერსიტეტში სამი სპეციალობა – ფილოლოგია, ისტორია და ეკონომიკა ფუნქციონირებდა:

ვეძებდი კვალიფიციურ ლექტორებს და სწორედ ამ პროცესში მივაგენი ქალბატონ თინას, რომელიც გამორჩეული იყო მაღალი აკადემიური მომზადებით, პროფესიონალიზმითა და ქვეყნისადმი ერთგულებით. პირველად მის სოფელში, ნიჯგორში შევხვდი მას, სადაც რამდენიმე დღით იყო ჩამოსული. თავდაპირველად გვითხრა, რომ დაფიქრდებოდა; შემდეგ დათანხმდა უნივერსიტეტში თანამშრომლობას – ეს 1991 წელს მოხდა. იმ დროიდან მოყოლებული, ჩვენი პროფესიული თანამშრომლობა განუწყვეტლად გრძელდება. დღეს, როდესაც მესხური კულინარიის პოპულარობა განსაკუთრებით გაზრდილია, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ამ პროცესში ქალბატონ თინა იველაშვილს საგრძნობი წვლილი აქვს შეტანილი. გარდა ამისა, მან ტრადიციული ქორწილის საკითხებზე ცალკე მონოგრაფია გამოაქვეყნა, რაც წარმოადგენს ჩვენი ეთნოლოგიური ყოფის მნიშვნელოვან ასპექტებს. – აღნიშნა ბატონმა მერაბმა და ქალბატონ თინა იველაშვილს საჩუქრად გადასცა წიგნი – **„მესხეთის ტოპონიმია“,** რომლის ავტორი თავად გახლავთ.

შეხვედრა კვლავ კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

– ქალბატონო თინა, ბატონმა მერაბმა ტრადიციული ქორწილი ახსენა. რა მნიშვნელობა აქვს ოჯახისა და ოჯახის ინსტიტუტს ქართველი ერის ისტორიულ ცხოვრებაში და რამდენად მნიშვნელოვანია მისი გამყარება თანამედროვე საზოგადოებისთვის?

თინა იველაშვილი: ოჯახი პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს. იგი ქვეყნისა და სახელმწიფოს საფუძველს ქმნის. ქართული ტრადიციისთვის დამახასიათებელი იყო ნათესაური კავშირების მკაცრი კონტროლი – ქორწინების წინ ნათესაობას მეშვიდე თაობამდე არკვევდნენ. ოჯახური სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრავდა ქალისა და მამაკაცის პასუხისმგებლობასა და უფლებებს. წარსულში ოჯახის დანგრევა იშვიათი მოვლენა იყო, ხოლო ქალს მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭებოდა როგორც ოჯახურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შემდეგ ქალბატონმა თინამ დეტალურად მიმოიხილა მზითვის რიტუალი და ტრადიციული ოჯახური წეს-ნყობა. მან აღწერა მრავალსულიანი ოჯახების მიდგომები საცხოვრებელი სივრცის წყობისას, მათ შორის, სად და როგორ შენდებოდა სახლ-კარი რამდენიმე ვაჟის ყოლის შემთხვევაში. გარდა ამისა, საუბრისას განიხილა საკუთარი მომავალი წიგნი, რომელიც სამკურნალო მცენარეების თემას მიეძღვნება.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **ასმათ ევსაია:**

დიდი სიყვარულით მივესალმები ქალბატონ თინას. იგი ჩვენი ფაკულტეტის მარგალიტია. თუ რაიმე მაინტერესებდა სამცხე-ჯავახეთის ყოფაში, ყველაფერს მისი ნაშრომებიდან ვიგებდი. მე და ქალბატონი თინა ვიყავით სოფელ საროში და მისი ბავშვობის ოდა მოვინახულეთ. ეს იყო ემოციურად გამორჩეული დღე. მინდა ვუსურვო ქალბატონ თინას კიდევ ბევრი ნაყოფიერი წელი.

ასოცირებულმა პროფესორმა **მედეა ბურდულმა** შეხვედრის მონაწილეთ გაუზიარა პირადი მოსაზრებები ქალბატონი თინას საქმიანობის შესახებ. მან წარმოაჩინა ქალბატონი თინას განსაკუთრებული მიდგომა ეთნოგრაფიულ კვლევებში, ხაზი გაუსვა მთხრობელთან საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური მომზადების მნიშვნელობას და აღნიშნა ეთნოლოგების მნიშვნელოვანი წვლილი რეგიონული კულტურის შესწავლაში.

ეთნოგრაფიული კვლევა რთულია და მოითხოვს ფსიქოლოგიურ მომზადებას. ქალბატონმა თინამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, განსაკუთრებით, სამცხე-ჯავახეთის კუთხეში. დასაფასებელია მისი ნაშრომები საქორწინო წეს-ჩვეულებებზე, სადაც ნაჩვენებია რეგიონების მსგავსებები და განსხვავებები. ვუსურვებ ქალბატონ თინას კიდევ მრავალ წარმატებულ ნაშრომს.

შეხვედრის დასასრულს რექტორმა ქალბატონ თინას მიმართა:

– დაგრჩათ მიმართულება, რომლის კვლევაც გინდოდათ და ვერ მოახერხეთ? თავიდან რომ დაგეწყოთ ცხოვრება, ისევ ეთნოლოგი იქნებოდით?

თინა იველაშვილი: არაფერს შევცვლიდი. ჩემი სტუდენტობისას აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ლექციებს ვესწრებოდი, ასპირანტებთან ერთად მეც ვიჯექი. მან აღნიშნა, რომ საჭირო იყო სამცხე-ჯავახეთის ეთნოგრაფიული კვლევა. ამან განსაზღვრა ჩემი სამეცნიერო საქმიანობა. ამ კუთხეში სამი ნლით ჩამოვედი და 35 წელია აქ ვარ.

ახალგაზრდა ლექტორებისა და სტუდენტების მხრიდან დაისვა რამდენიმე კითხვა. სტუდენტები გამოხატავდნენ მადლიერებას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ლექციებზე ქალბატონი თინას ინდივიდუალურ მიდგომას და მის წვლილს მათ პროფესიულ განვითარებაში.

ისტორიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი **მარიამ სუდაძე:**

სანამ ამ მიმართულებით ჩავაბარებდი, ქალბატონი თინას შესახებ მქონდა ინფორმაცია პაპაჩემისგან. მას უყვარს ისტორიული წიგნების კითხვა და ქალბატონი თინას წიგნებიც ჰქონდა წაკითხული. როგორც კი პირველ ლექციაზე შემოვიდა ქალბატონი თინა, იქიდან მივხვდი, რომ ბევრ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას მივიღებდი, ასევე, სრულფასოვან განათლებას. ლექციაზე ისე გადის დრო, ვერც კი ვიგებთ.

ისტორიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი **მარიამ ბერიძე:**

დიდი ბედნიერებაა, ქალბატონი თინა გაიცნო და მისი წიგნები წაიკითხო. უკვე მეორე წელია, რაც მისი სტუდენტი ვარ. დედა-შვილური ურთიერთობა აქვს სტუდენტებთან. თითოეულ ჩვენგანს ინდივიდუალურად გვიდგება. ძალიან საინტერესო ლექციები აქვს და არა მხოლოდ ეთნოიგრაფიაზე, მასთან კავშირში ბევრ საინტერესო საკითხზე საუბრობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყოველი ლექცია იწყება და მთავრდება თითოეულ ახალგაზრდაში პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცებით. ქალბატონი თინა ჩვენი კუთხის პატრიოტი და საამაყო ადამიანია.

შეხვედრის დასასრულს რექტორმა თინა იველაშვილს, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, გადასცა უნივერსიტეტის მადლობის სიგელი.

ლიკა ზაზაშვილი

დაშორების ხიდი

ჩვენი ქვეყანა ბევრ ხიდს იცნობს, აშენებულსაც და ჩამონგრეულსაც, მაგრამ ყველაზე მტკივნეული ხიდი ის არის, რომელიც არც ნაშენებია და არც დანგრეული, უბრალოდ, არც არსებობს. ენგურს აქეთ და ენგურს იქით მცხოვრებ ახალგაზრდობას შორის ზუსტად ასეთი სივრცეა: სიჩუმე, რომელიც ყველას გვესმის, მაგრამ დღეს ამ სიჩუმეს მაინც მივადექით.

ამ სიჩუმეს შემთხვევით არ უჩენია თავი. მრავალი წლის განმავლობაში ინფორმაცია ისე გაიყინა, თითქოს, ორი საზოგადოება სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობდეს. და როდესაც ორი მხარე განსხვავებულ ენაზე ფიქრობს, ისინი მხოლოდ სიტყვებით კი არა, რეალობითაც ვერ ხვდებიან ერთმანეთს.

ამ ყველაფერს ისიც ემატება, რომ ენგურს იქით მცხოვრებ ახალგაზრდას შეიძლება სულაც არ ჰქონდეს ინფორმაცია, რა ხდება აქ. ის ამ სამყაროს ვერ ეხება, რადგან ვერ ხედავს, ვერ ესმის, ვერ კითხულობს.

ამ ფონზე ჩვენი თაობა და აფხაზური ცენტრი, მესხი ახალგაზრდები, არ ვცდილობთ ისტორიის გადაწერას. პირიქით, ჩვენ უბრალოდ ვამბობთ: გვაინტერესებს, ვინ ხართ, რა გაწუხებთ და რაზე ოცნებობთ, რა გიხარიათ და რა გტკივათ. გვაინტერესებს, რას უყურებთ, რას უსმენთ, რაზე ფიქრობთ... ჩვენი სურვილი ერთია – ურთიერთობა ახალი, სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ. ჩვენ მზად ვართ, მოგისმინოთ.

ეს ყველაზე ადამიანური კითხვებია და სწორედ ამიტომ, ყველაზე რთულია მათი დასმა. თუმცა, დუმილის მიღმა სიტყვებიც კარგავს ძალას და ეს ბევრად რთულია, რადგან სწორედ ისინი ქმნიან უღრმეს უფსკრულს.

დღევანდელი მსოფლიო უფრო ხმაურიანია, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ამ ხმაურში ერთის სურვილი და მეორის სურვილი საოცრად დაემსგავსა ერთმანეთს – მშვიდად ცხოვრება და ადამიანური ურთიერთობები, დაძაბულობის გარეშე.

ხიდები თავიდან ყოველთვის უხილავია, ჯერ სიტყვაა, მერე ინიციატივა, მერე გულში გაჩენილი სითბო. და თუ დღეს ჩვენ ვერ ვსაუბრობთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ არ მოვუსმენთ ერთმანეთს და, ალბათ, პირიქითაც.

და ბოლოს... ხიდის პირველი მონაკვეთი ყოველთვის იქ იწყება, სადაც პირველად გაჩნდა სურვილი. მთავარია, გვჯეროდეს.

„სიყვარული გზად და ხიდად!“

თენგიზ მელიქიძე
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი

საერთაშორისო საზაფხულო სკოლა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში

11-16 აგვისტოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა XV საერთაშორისო საზაფხულო სკოლა დიგიტალურ ჰუმანიტარიაში.

საზაფხულო სკოლის თემას წარმოადგენდა **"პოლიტიკური მეტყველების ანალიზი – თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები".**

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მივიღეთ საქართველოსა და გერმანიის უნივერსიტეტებიდან სამივე საფეხურის 33 სტუდენტმა. მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

პროექტის ფარგლებში მოვისმინეთ თეორიული ლექციები პოლიტიკური ლინგვისტიკის საკითხებზე, აქტიურად ჩავერთეთ პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში, სადაც ავითვისეთ პოლიტიკური ტექსტების დამუშავების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. პროგრამის მიზანი იყო მსმენელებში პოლიტიკური ცნობიერების გაღრმავება და კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარება.

საზაფხულო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო პრაქტიკული სამუშაოები. მონაწილეები ჩავერთეთ ვიდეო-მასალების გადარჩევასა და კლასიფიკაციაში; აუდიო და ტექსტური რესურსების დამუშავებაში; მონაცემების გაშიფვრასა და ანოტირებაში პროგრამა ELAN-ის საშუალებით; მეტამონაცემების ბაზის შექმნაში; პოლიტიკურ ტექსტთა ლინგვოპოლიტოლოგიურ ანალიზში და სხვა.

მიღებული ცოდნის საფუძველზე წარმოვადგინეთ საკუთარი კვლევის შედეგები ჯგუფური პრეზენტაციების სახით.

ლექციების პარალელურად წარიმართა დისკუსიები, დებატები, ჯგუფური ვორკშოპები და პრეზენტაციები.

სკოლის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევა – „მანიპულაციის ენობრივი საშუალებები ქართულ პოლიტიკურ ზეპირმეტყველებაში", რომელიც პროგრამის თემატიკას ორგანულად ერწყმის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საზაფხულო სკოლაში ვმონაწილეობდით – ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი **მაია ქუქჩიშვილი,** ქართული ფილოლოგიის მესამე კურსის სტუდენტი **კრისტინა მასკალსკაია** და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი, ამ წერილის ავტორი **რიმა სუდაძე.**

საზაფხულო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ასოცირებული პროფესორი **მზია ხახუტაიშვილი** (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და დოქტორი **მარიამ ყამარაული** (ფრანკფურტის უნივერსიტეტი), ჩატარდა ფრანკფურტის უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში.

სასკოლო პროგრამას ახორციელებენ როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერები. მათ შორის:

მარიამ ყამარაული – ფრანკფურტის უნივერსიტეტის დოცენტი და ჰამბურგის უნივერსიტეტის მკვლევარი;

მანანა თანდაშვილი – ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მზია ხახუტაიშვილი – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

რუსუდან პაპიაშვილი – თსუ-ს და ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების სფეროს მკვლევარი;

ნანა ცეცხლაძე, თათია ცეცხლაძე, ანასტასია ყამარაული, თამარ ომიაძე, ანა მდინარაძე, ლევან ქათამაძე – სხვადასხვა მიმართულების მეცნიერები და ტრენერები.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში შეიქმნა საკითხით დაინტერესებულ სტუდენტთა ჯგუფი, რომელიც გააგრძელებს მუშაობას პოლიტიკური ზეპირმეტყველების ციფრული მეთოდებით დამუშავებაში.

მინდა, მადლობა გადავუხადო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და საზაფხულო სკოლის ორგანიზატორებს ასეთი უნიკალური შესაძლებლობისთვის.

რიმა სუდაძე

მოგონებების უკვდავება ხელოვნებაში

არიან ადამიანები, რომლებიც, სწავლის პარალელურად, პოულობენ ძალას და შთაგონებას, შექმნან საკუთარი სამყარო. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი **მარიამ მაისურაძე** სწორედ ის ახალგაზრდაა, რომელიც სწავლას, ორი შვილის მოვლას და ხელნაკეთი პროდუქციის ბიზნესს ერთმანეთს სიამოვნებით უთავსებს.

მარიამი ეპოქსიდის ხელოვნებაში პოულობს თავისუფლებას და შესაძლებლობას „დრო გააჩეროს". მის სამყაროში ყველა ფერია თავმოყრილი. მისი თითოეული ნამუშევარი უნიკალურია, რადგან მასში ადამიანების ემოციები, მოგონებები და განსაკუთრებული ისტორიები ცხოვრობს. მარიამს აკადემიური ცოდნა ეხმარება ბიზნეს პროცესების ორგანიზებაში და პროფესიულ განვითარებაში.

ინტერვიუში მარიამი გვიყვება საკუთარი გზის, შთაგონებისა და გამოწვევების შესახებ – თუ როგორ მოახერხა, სწავლას, ბიზნესს და ოჯახურ ცხოვრებას შორის ჰარმონიის შექმნა და როგორ ხედავს მომავალს, სადაც მისი შემოქმედება კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური გახდება.

– მარიამ, დაინტერესებული ხართ ეპოქსიდის საშუალებით სხვადასხვა ნივთების შექმნით. როგორ მოახერხეთ, რომ სტუდენტობის დროს დაიწყეთ ეს საქმიანობა?

– 18 წლიდან ვცდილობდი, მქონოდა ფინანსური დამოუკიდებლობა. ამიტომ, ჯერ გავაკეთე ონლაინ მაღაზია, რომელსაც დღემდე ვამუშავებ. მაგრამ ხელოვნება ყოველთვის მიტაცებდა და ვცდილობდი, შემექმნა რაიმე განსაკუთრებული ხელნაკეთი ნივთები, რომლებიც შემოსავალსაც გამიზრდიდა და ადამიანებსაც გააბედნიერებდა. შემდეგ აღმოვაჩინე ეპოქსიდი და ჩემს გულთან ეს საქმე ახლოს მოვიდა. ეპოქსიდზე მუშაობა არის ხელოვნების ის დარგი, სადაც საზღვრები არ არსებობს. რასაც ჩაიფიქრებ, ყველაფერს შექმნი შენი ხელებით.

– რამ შთაგაგონათ, აგერჩიათ ეპოქსიდით მუშაობის მიმართულება?

– მასში ვხედავ შესაძლებლობას, დრო შევაჩერო. როდესაც ბუნების პატარა დეტალებს – ყვავილებს, ფოთლებს, მოგონებების სიმბოლოებს ეპოქსიდში ვამკვიდრებ, თითქოს მომენტს მარადიულად ვინახავ. ეს პროცესი ჩემთვის არა მხოლოდ ხელოვნებაა, არამედ მშვიდი, თერაპიული მდგომარეობა, სადაც შემოქმედება და ემოციები ერთ მთლიანობად იქცევა. მაქვს ის შეგრძნება, რომ უბრალო ნივთს უნიკალურ ისტორიად ვაქცევ. სწორედ თავისუფლების და სილამაზის შერწყმა გახდა ჩემი მთავარი შთაგონება.

ყველაზე საინტერესო მუშაობის პროცესია. ჯერ არის შეკვეთის მიღება, რომელსაც თავის ისტორია აქვს. ზოგს საყვარელი ადამიანის ნაჩუქარი ყვავილების შენახვა სურს სამუდამოდ, ზოგს საქორწინო თაიგულის... შემოქმედება, დიზაინი და ინოვაცია ჩემი პროდუქტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ისინი ქმნიან უნიკალურობას, ამატებს ემოციას და ეხმარება იმას, რომ ყოველი ნივთი იყოს არა უბრალოდ პროდუქტი, არამედ განსაკუთრებული, ინდივიდუალური ისტორიის მატარებელი ნამუშევარი. სწორედ ეს სამი კომპონენტი განასხვავებს ჩემს ხელოვნებას და აძლევს მას საკუთარ სტილს.

– რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი სპეციალობით მიღებული ცოდნა ბიზნესის პროცესების მართვისას?

– ეკონომიკის მიმართულებით სწავლა ძალიან მეხმარება ბიზნესის პროცესების მართვაში, მიძლიერებს ანალიტიკურ აზროვნებას, მიუმჯობესებს ფინანსურ ხედვას. თუმცა, თეორია მხოლოდ საფუძველია. პრაქტიკა და ყოველდღიური გამოცდილება ისაა, რაც ამ ცოდნას რეალურ საქმედ აქცევს.

– როგორ ახერხებთ დროის მართვას – სწავლა, ბიზნესის საქმიანობა და პირადი ცხოვრება? მოგვიყევით თქვენს შვილებზე.

– ეს ძალიან რთულია. ერთ მხარეს სწავლა, მეორე მხარეს ბიზნესი, პარალელურად კი – ორი მცირეწლოვანი შვილის მოვლა და დროის გატარება მათთან. ისინი მოხიბლული არიან ჩემი საქმიანობით. სადაც კი რაიმე ყვავილს ნახავენ, ჩემთან მოაქვთ, რომ გამოვაშრო და გამოვიყენო ნამუშევრებში. ალბათ, ესაა ჩემი მთავარი მოტივაცია, რომ სწორ გზას ვადგავარ.

მჯერა, რომ შეუძლებელი არაფერია. პრიორიტეტების სწორად დადგენა და პასუხისმგებლობა მაძლევს საშუალებას, თითოეულ სფეროს ყურადღება დავუთმო. როდესაც შენი საქმე გიყვარს, გაქვს მკაფიო მიზანი და ხედავ შედეგს, დროის სწორი განაწილება შეგიძლია და, მიუხედავად გამოწვევებისა, სწავლა, ბიზნესი და ოჯახი ერთმანეთთან ჰარმონიაში მოექცევა.

– როგორ ხედავთ მომავალში თქვენს ბიზნესს და საკუთარ როლს ამ პროცესში?

– მომავალში ჩემს ბიზნესს ვხედავ, როგორც შემოქმედებითად მდიდარ და ადამიანებთან ემოციურად დაკავშირებულ სივრცედ, რომელიც მათ მნიშვნელოვანი მოგონებების შენახვაში ეხმარება. ჩემი როლი იქნება – ვიყო შემოქმედი და ინოვატორი, ხოლო ცოდნასა და გამოცდილებას მომავალში სხვებსაც გავუზიარებ, რაც ჩემთვის ახალი შესაძლებლობებისა და შემოსავლის წყაროდ გადაიქცევა.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

„გალაკტიონის ხმები"

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კორპუსში (ახალქალაქი) სიტყვამ და ხმამ ახალი სიცოცხლე შესძინა უნივერსიტეტის კედლებს.

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების სტუდენტებმა, ქეთევან მელიქიძის ხელმძღვანელობით, გამართეს თავიანთი პირველი პოეზიის საღამო, რომელიც მთლიანად მიუძღვნეს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას.

საღამო გაფორმდა მშვენიერი მელოდიებითა და გალაკტიონის ფოტოებით შექმნილი ლამაზი პრეზენტაციით, სადაც ყოველი კადრი პოეტის სამყაროს ახალ ფერს ავლენდა. ეკრანზე მსუბუქად აინთო მისი სტრიქონებიც:

„მე და ღამე",

„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი"...

სტუდენტებისთვის ეს იყო პირველი შემოქმედებითი ღონისძიება – კომპიუტერული კოდებიდან პოეზიის სივრცეში გადადგმული პირველი, სუფთა და გულწრფელი ნაბიჯი.

მათი ხმა გულიდან ამოდიოდა და, თითქოს, დარბაზიც მათთან ერთად სუნთქავდა.

საღამოს კულმინაციური მომენტი მაშინ დადგა, როდესაც კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ერთ-ერთმა ლექტორმა ემოციურად წაიკითხა „მესაფლავე". მისი ხმა, თითქოს, გალაკტიონის ტკივილს ერწყმოდა...

ეს საღამო იყო კიდევ ერთი დასტური იმის, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ ცოდნის მისაღები სივრცე არაა, არამედ არის ადგილი, სადაც გონება და სული ერთად იზრდება.

სწორედ ამიტომაც, სტუდენტების პირველი ღონისძიება იქცა იმ ნათელ წერტილად, სადაც ტექნოლოგია და პოეზია ერთმანეთს შეხვდნენ.

„როდესაც სიტყვა ხმას პოულობს, იქ ჩნდება ის ძალა, რომელიც ადამიანს ავითარებს, აერთიანებს და შთაგონებას უტოვებს მომავალს." ჭეშმარიტად!

ჩვენი კორესპონდენტი

ხელოვნური ინტელექტი გამოწვევები და უპირატესობები

21-ე საუკუნე ტექნოლოგიური ცვლილებების განსაკუთრებული ტემპით გამოირჩევა. ამ ცვლილებებს შორის ყველაზე მასშტაბური და გავლენიანი არის ხელოვნური ინტელექტი – სისტემა, რომელსაც შეუძლია სწავლა, ანალიზი, გადაწყვეტილებების მიღება და ისეთი ამოცანების შესრულება, რომლებიც ადრე მხოლოდ ადამიანს შეეძლო. ხელოვნური ინტელექტი დღეს აღარ არის მხოლოდ მეცნიერთა ლაბორატორიებში შექმნილი ექსპერიმენტი; ის გარდაქმნის მსოფლიოს ეკონომიკას, სოციალურ ცხოვრებას, განათლებას, სამედიცინო სფეროს და, თითქმის, ყველა მიმართულებას, რომელსაც ადამიანის გონება ეხება. და მაინც, რა არის ხელოვნური ინტელექტი?

მეცნიერების აზრით – „ხელოვნური ინტელექტი კომპიუტერული მეცნიერების დარგია; იგი მიზნად ისახავს ინტელექტუალურ კომპიუტერული მანქანის/პროგრამის შექმნას, რომელსაც ექნება უნარი, მიაღწიოს ადამიანის ინტელექტის გაგებას.“

ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც დღევანდელ სამყაროში გარდამტეხი ცვლილებების მაუწყებელია. ეს არის ტექნოლოგია, რომელიც კომპიუტერებსა და პროგრამებს აძლევს შესაძლებლობას, იმოქმედონ ისე, როგორც ადამიანის გონებამ – ისწავლონ, გამოიტანონ დასკვნები, შეასრულონ ამოცანები, ზოგჯერ – ადამიანზე სწრაფადაც კი. ხელოვნური ინტელექტი ხდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი მომსახურების სფეროში, ტრანსპორტში, განათლებაში და, თითქმის, ყველგან, სადაც მონაცემთა ანალიზი და სიზუსტეა საჭირო.

საზოგადოების დამოკიდებულება ხელოვნური ინტელექტის მიმართ განსხვავებულია. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სახეზეა შესაძლებლობა, რომლის გამოყენებასაც თუ სწორად ვისწავლით, მნიშვნელოვან სარგებელს მივიღებთ, ხოლო საზოგადოების მეორე ნაწილის აზრით, ხელოვნური ინტელექტი სახიფათოა, რადგან ადამიანები მასზე დამოკიდებული ხდებიან და ფიქრსა და განსჯას მარტივ გზას ამჯობინებენ.

მეორე მხრივ, საზოგადოება შიშობს, რომ ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად საჭიროება მრავალი პროფესიისა, რომელსაც ადამიანი ასრულებს, ეჭვქვეშ დგება, ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი აღიჭურვება შესაძლებლობით, შეასრულოს ადამიანის საქმე.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ მრავალი უპირატესობა წარმოაჩინა. ის ამცირებს დროისა და რესურსების ხარჯვას, ეხმარება მეცნიერებს ახალი აღმოჩენების გაკეთებაში და ქმნის ინოვაციებს ბიზნესსა და ტექნოლოგიებში. ავტომატიზებული სისტემები ადამიანებს ეხმარება რთული ან დამღლელი სამუშაოების შესრულებაში, ხოლო პროგნოზირებისა და ანალიზის საშუალებით მრავალი სფერო უფრო ეფექტიანი გახდა. იმისთვის, რომ ახალგაზრდა თაობას სწორი ინფორმაცია ჰქონდეს ხელოვნური ინტელექტის შესახებ, საჭიროა მათი ცნობიერების ამაღლება.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 7-9 აგვისტოს ჩატარდა ტრენინგ-კურსი სახელწოდებით – **„შესავალი ხელოვნურ ინტელექტში“.** შეხვედრების განმავლობაში გავიგეთ, თუ რა არის რეალურად ხელოვნური ინტელექტი და რატომ არ მთავრდება ChatGPT-ით. შეხვედრის მიმდინარეობისას ნათლად დავინახეთ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე ხელოვნური ინსტრუმენტები სწავლისთვის, მუშაობისთვის და ყოველდღიური ამოცანების მოსაგვარებლად; საშუალება გვქონდა, პრაქტიკულად შეგვექმნა საკუთარი პირველი პატარა პეოექტი ხელოვნური ინტელექტის დახმარებით. შეხვედრის მთავარი დევიზი იყო სიტყვები – „ტექნოლოგია მოდის. მე მას მომზადებული უნდა დავხვდე.“ ეს ცვლილება უკვე აქ არის – ჩვენს რეგიონშიც, ჩვენს უნივერსიტეტშიც, ჩვენს ყოველდღიურობაში. თუმცა, ხელოვნური ინტელექტი ცალსახად მხოლოდ სარგებელს არ გულისხმობს. მას ახლავს გამოწვევებიც: სამუშაო ადგილების შესაძლო შემცირება და ტექნოლოგიის ბოროტად გამოყენების რისკი, მათ შორის, სასწავლო პროცესში, მაგალითად – სტუდენტების მხრიდან. ამიტომ აუცილებელია, ხელოვნური ინტელექტი განვითარდეს პასუხისმგებლიანად, მკაფიო ეთიკური სტანდარტებისა და რეგულაციების განსაზღვრის გზით. სტუდენტებმა კი თვითონ უნდა განვსაზღვროთ, რა როლს მივანიჭებთ ხელოვნურ ინტელექტს: დაგვეხმაროს ცოდნის მიღების პროცესში, შეგვიმციროს საჭირო ლიტერატურასთან წვდომის დრო და მანძილი, თუ „ჩვენს მაგივრად ისწავლოს“ და რეალურად დაგვტოვოს სასწავლო პროცესის მიღმა. ფაქტობრივად, არჩევანიც კი არ არსებობს – პირველი შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტშიც გაჩნდეს ისეთი რეგულაციები, ტექნოლოგიები, რომელიც წაახალისებს ხელოვნური ინტელექტის სასწავლო პროცესში დადებითად ჩართულობას.

დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ადამიანებმა და ხელოვნურმა ინტელექტმა ერთად, თანხვედრაში იმუშაონ. ხელოვნური ინტელექტი არ არის ადამიანის შემცვლელი – ის არის ინსტრუმენტი, რომელიც, სწორად გამოყენების შემთხვევაში, ჩვენს ყოველდღიურობას ამარტივებს, აუმჯობესებს და ახალ შესაძლებლობებს ქმნის. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ცენტრალური ძალაა; მისი სწორად მართვა და განვითარება განსაზღვრავს იმ სამყაროს, რომელშიც მომავალ თაობებს მოუწევთ ცხოვრება.

ანა ბერიძე,
იურიდილი ფაკულტეტის
მე-2 კურსის სტუდენტი

გზა – საერთაშორისო გამოცდილებამდე

გაცვლითი პროგრამით ევროპაში წასვლა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო. ოცნების რეალიზებაში განსაკუთრებული როლი ჰქონდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ERASMUS+-ის გაცვლით პროგრამას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მე და ინგლისური ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტი ანდრეი მარქარიანი ვსწავლობთ ქალაქ რუზომბეროკში, Catholic University in Ruzomberok-ში. უკვე მესამე თვეა, რაც სლოვაკეთში ვართ და ამ დროში მიღებულ შთაბეჭდილებებს სიამოვნებით გავუზიარებ გაზეთის მკითხველ საზოგადოებას და იმ ახალგაზრდებს, ვისაც სურს გაცვლითი პროგრამით სწავლის გაგრძელება.

სლოვაკეთში ჩასვლის დღიდანვე მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი სუფთა ფურცლის შევსებას ვიწყებდი. წასვლამდე მაქსიმალურად ვცდილობდი, როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად მოვმზადებულიყავი. გააზრებული მქონდა, რომ უცხო ქვეყანაში მივდიოდი, სადაც ახალი ურთიერთობები, უცხო ენა და ახალი გარემო მელოდებოდა. იმედი მქონდა, რომ ჩემი მეგობარი ანდრეი ჩემს გვერდში იქნებოდა და ერთმანეთს დავეხმარებოდით ამ ყველაფრის გადალახვაში.

ბრატისლავა პატარა ქალაქია, მაგრამ თითოეულ კუთხეში იგრძნობა ისტორია და ახალგაზრდული ენერგია. უნივერსიტეტში, სადაც ვსწავლობთ, საოცარი ლექტორები არიან, თავისუფლები, მეგობრულები, რაც საგაკვეთილო პროცესზეც აისახება. მათთან ურთიერთობა საუკეთესო გამოცდილებად დამრჩება.

გვაქვს ჯგუფური დისკუსიები, პრეზენტაციები; მთელი სალექციო და სასემინარო პროცესის განმავლობაში გრძნობ, რომ შენი იქ ყოფნა მნიშვნელოვანია და შენი აზრი – ღირებული. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბატონი ჯონის გაკვეთილებს, რომლებიც დატვირთულია აქტივობებით, ასევე, ქალბატონი გაბრიელას ლექციებს, სადაც პირადად ვქმნი კომიქსებს. ასეთი გამოცდილება არა მხოლოდ აკადემიურად მაძლიერებს, არამედ შემოქმედებითი კუთხითაც მანვითარებს.

სწავლასთან ერთად, როგორც სლოვაკეთში, ასევე, ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, მოგზაურობა ზოგჯერ ადვილი არაა, თუმცა, ERASMUS+-ის პროგრამა, სხვა სტუდენტებთან ერთად, ამ პროცესს მნიშვნელოვნად გვიმარტივებს. ერთად ვგეგმავთ გასვლებს, ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას, ვამჩნევთ კულტურებს შორის განსხვავებებსა და მსგავსებებს, ვპოულობთ საერთო სიტყვებსა და ნიშნებს.

უნივერსიტეტში შესვლისას, ერთი კვირის განმავლობაში, ადგილობრივი სტუდენტები და კოორდინატორები გაცნობით კვირას მართავდნენ. ეს პერიოდი სხვადასხვა სახალისო აქტივობებით, პატარა ექსკურსიებით, ტრადიციული კერძების დაგემოვნებითა და კულტურის გაცნობით იყო დატვირთული. დღემდე ვაგრძელებ სლოვაკური ენის შესწავლას და კულტურული გამოცდილების გაფართოებას.

ყოველი დღე მეხმარება, პიროვნულად გავიზარდო და ცოდნა გავიღრმავო. უნივერსიტეტში უდიდესი ბიბლიოთეკაა, სადაც სიჩუმე სწავლასა და გონებრივ კონცენტრირებაში დიდად მეხმარება. გარდა ამისა, უნივერსიტეტში არის სტუდენტური სივრცეები, განსაკუთრებით Pastoral Centre, რომლის მთლიანი სართული მხოლოდ სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი. აქ მოწყობილია გასართობი სივრცეები და სამზარეულო. ცენტრის წევრებთან ხშირი კომუნიკაცია გვაქვს. ენის ბარიერი ხანდახან არსებობს, მაგრამ მეგობრული დამოკიდებულებით პრობლემას არ ქმნის.

აქ ყოფნის ყოველი წამი ჩემთვის მნიშვნელოვანია. ჩემი მადლიერება ეკუთვნის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, ასევე, აქ მყოფ ყველა ადამიანს, ვინც ამ გამოცდილების რეალიზებაში დამეხმარა.

ERASMUS+-ის პროგრამამ მომცა შესაძლებლობა ახალი მეგობრები შემეძინა, ასევე, დამეხმარა აკადემიური გამოცდილებისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში. მე გავაცნობიერე საკუთარ თავში რწმენა, შევიძინე ახალი მეგობრები მთელი ევროპიდან, მივიღე გამოცდილება, რომელიც ჩემს მომავალ კარიერაში გამომადგება.

სტუდენტებს ვურჩევ, ნუ შეეშინდებათ ახალი ნაბიჯის გადადგმის. ახალი შესაძლებლობები არ მოდის უმოქმედობით. შეცდომების არ უნდა გვეშინოდეს, რადგან ისინი გვზრდიან და გვაყალიბებენ. იყავით თავისუფლები, გონებაში დახატეთ საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია და ამ განცდით განაგრძეთ წინ ნელი, თავდაჯერებული ნაბიჯებით სვლა. შესაძლოა, ERASMUS+-ის პროგრამა იყოს ის შანსი, რაც წარმატებისკენ წაგიყვანთ.

თია ყულჯანიშვილი
ისტორიის სპეციალობის
მესამე კურსის სტუდენტი

იურისტის პროფესიული შეცნობის დასაწყისი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 2025 წლის პირველი სექტემბრიდან, საჯარო დაწესებულებებში, ასევე, საჯარო დაწესებულებების სისტემაში შემავალ საჯარო და კერძო სამართლის იურიდულ პირებში, სამთვიანი ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა გამოცხადდა.

მე, როგორც მომავალ სამართალმცოდნეს, მქონდა შესაძლებლობა, გამეკეთებინა არჩევანი, თუ სად გადამედგა პირველი ნაბიჯები კარიერაში. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში მრავალი სტაჟირება იყო გამოცხადებული, გადაწყვეტილების მიღება არ გამჭირვებია, როდესაც გავეცანი ინფორმაციას სახელმწიფო რწმუნებულის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში) აპარტში გამოცხადებული სტაჟირების შესახებ, იურიდიული მიმართულებით.

კითხვაზე პასუხი, თუ რატომ მივიღე გადაწყვეტილება ასე მარტივად, ნათელია – სახელმწიფო რწმუნებილის ადმინისტრაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც სრულყოფილად აერთიანებს ცენტრალური ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოქალაქეთა ინტერესებს.

ჩემთვის აღნიშულ დაწესებულებაში სტაჟირების მთავარი მოტივაცია გახლდათ ის ფაქტორი, რომ სწორედ აქ არის კონცენტრირებული ის პროცესები, რომლებიც რეალურად განსაზღვრავს რეგიონის განვითარებას მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით.

მქონდა სურვილი, პროფესიული გზა დამეწყო იმ გარემოში, სადაც უმაღლესი სტანდარტის საჯარო სამსახური, კანონის უზენაესობა, დისციპლინა და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ნამდვილად ის სივრცეა, სადაც დამწყებ იურისტს შეუძლია მიიღოს მრავალმხრივი გამოცდილება, გაიაზროს ადგილობრივი თვითმმართველობის მექანიზმები და იგრძნოს წვლილის შეტანა რეგიონის და, მაშასადამე, ქვეყნის აღმშენებლობაში.

აღსანიშნავია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლი ჩემი პროფესიული არჩევანის ჩამოყალიბებაში. უნივერსიტეტში მიღებულმა იურიდიულმა განათლებამ, აკადემიურმა გარემომ, პროფესორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმმა მნიშვნელოვნად განაზღვრა ჩემი მზაობა სტაჟირების პროცესისათვის. სწორედ, უნივერსიტეტმა შემიქმნა ის საფუძველი, რომელმაც საშუალება მომცა, სტაჟირების კონკურსში კონკურენტუნარიანად წარმომეჩინა თავი. ცოდნა, რომელიც უნივერსიტეტმა მომცა და პრაქტიკული გამოცდილება, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ვიღებ, საუკეთესო გაგრძელებაა ჩემი პროფესიული გზისთვის.

სტაჟირების კონკურსი ორ ეტაპად წარიმართა და საკმაოდ მაღალი კონკურეციის პირობებში მომიწია ჩემი შესაძლებლობების წარმოჩენა. დღეს, უკვე სტაჟირების პროცესში, მოხარული ვარ, რომ სწორედ ეს გზა ავირჩიე, რადგანაც ყოველდღიურობაში ვეუფლები იურიდიულ საქმიანობას, რაც ჩემი აზრით, კარგი პროფესიონალის ჩამოყალიბებისთვის შეუცვლელი საფუძველია.

დასასრულს, მინდა მადლობა მოვახსენო სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს გამოცხადებული ნდობისთვის, ყოველდღიური მხარდაჭერისთვის და იმისთვის, რომ ჩემი პროფესიული განვითარების გზას კიდევ უფრო საინტერესოსა და ღირებულს ხდიან. ასევე, მადლიერებას გამოვხატავ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, რომელმაც სწორად დამანახა ჩემი პროფესიის მნიშვნელობა და მისია.

ლიზი თევდორაშვილი
იურიდიული ფაკულტეტის
სამართალმცოდნეობის
პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი

პროფესია, რომელიც ადამიანებზე ზრუნვას ნიშნავს



პირველი გვერდიდან

სამედიცინო სფერო მუდმივი განვითარების პროცესშია. მას პროფესიონალი, პასუხისმგებლიანი და ჰუმანურობაზე ორიენტირებული კადრები სჭირდება. სწორედ ამიტომ, საექთნო საქმის პროგრამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც რეგიონული, ისე ეროვნული მასშტაბით.

სასწავლებელი სტუდენტებს სთავაზობს არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ რეალურ კლინიკურ გარემოში პრაქტიკის შეძენის შესაძლებლობას, რაც მათ პროფესიულ თვითდაჯერებასა და დამსაქმებლებისთვის მიმზიდველობას ზრდის. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ პროგრამის ბოლო კურსის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი უკვე დასაქმებულია სამედიცინო დაწესებულებებში და აქტიურად მონაწილეობს პაციენტზე ზრუნვის პროცესში.

გამოკითხული სტუდენტები და კურსდამთავრებულები საკუთარ გამოცდილებას, შეფასებებსა და მოსაზრებებს გვიზიარებენ. მათი პასუხები ნათლად წარმოაჩენს, თუ რა როლს ასრულებს პროფესიული სასწავლებელი მათი კარიერული გზის ფორმირებაში, რამდენად მნიშვნელოვანია პრაქტიკული სწავლება, როგორ გამოწვევებს აწყდებიან რეალურ სამუშაო გარემოში და როგორ აფასებენ მიღებულ განათლებას.

– მოგესალმებით. მე გახლავართ **მაყვალა სურმანიძე,** 45 წლის, პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებული, საექთნო საქმის მიმართულებით.

ბავშვობიდან ვოცნებობდი სასწავლებელში ჩარიცხვაზე, თითქოს ჟინიც მქონდა, რომ მიმეღწია ჩემი მიზნისთვის. ჩემს ოჯახსა და სანათესაოს ყოველთვის მე ვუწევდი სამედიცინო დახმარებას და ჩავთვალე, რომ უნდა ჩამებარებინა ამ განხრით, საფუძვლიანად მესწავლა. ვიცნობ მოქმედ ექთნებს, რომლებმაც მხოლოდ ზედაპირულად იციან თავიანთი პროფესია, მე კი მსურდა, შესაფერისი ცოდნით აღჭურვილს, პირნათლად შემესრულებინა საქმე.

ამ სასწავლებელში მოხვედრამ მომცა შანსი, ეჭვქვეშ მდგარი, დაუზუსტებელი ყველა დეტალი საფუძვლიანად შემესწავლა და პროფესიონალური მიდგომები დამეხვეწა. ჩემთვის განათლება უპირველესია. როდესაც გავიგე ამ პროექტის შესახებ, ჩემს 22 წლის ახლობელს გამოვყევი, ერთად ვცადეთ. ამ ასაკში მაინც გავრისკე და... ჩავირიცხე კიდეც.

ხათუნა ალავიძე, პროგრამის პირველკურსელი:

– მოგესალმებით. სულ რამდენიმე თვეა, რაც დავიწყე სწავლა. ძალიან მაინტერესებდა და სკოლის პერიოდიდანვე დიდი სურვილი მქონდა, ამ სფეროში მემუშავა, თუმცა, ოჯახური პირობების გამო, ვერ ავისრულე ოცნება უფრო ადრე, მაგრამ, როგორც ამბობენ, „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. უდიდესი მადლობა სახელმწიფოს ამ შესაძლებლობისთვის. როგორც კი გავიგე პროფესიული სასწავლებლის აღნიშნული მიმართულების შესახებ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სამი წლის წინ ვცადე ჩაბარება, გამომივიდა კიდეც, მაგრამ არასრული საშუალო ატესტატის გამო ვერ დავიწყე სწავლა. არ დავნებდი. ჩავბარე გამოცდები. ავიღე საშუალო განათლების ატესტატი. მახსოვს, კოლეჯში – „ოპიზარი“ ვსწავლობდი, როდესაც გავიგე, რომ კვლავ გამოცხადდა მიღება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული სასწავლებლის საექთნო საქმის კურსზე. მომეცა შანსი, კვლავ მეცადა და ამეხდინა ბავშვობის ოცნება. ვცადე და ჩავირიცხე კიდეც. მიუხედავად ჩემი ასკის (ვარ 44 წლის), ძალიან დიდი სურვილი მაქვს, წარმატებით დავასრულო კურსი.

სწავლის პარალელურად, ვმუშაობ სს „საქართველოს კლინიკები“ – ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში, რეანიმაციულ განყოფილებაში. ვარ ექთნის დამხმარე. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემი პროფესია, ყოველგვარი დაბრკოლებების მიუხედავად, სრულფასოვნად შევისწავლო. ვიქნები წარმატებული, ავიხდენ ოცნებას და ავიღებ დიპლომს. მადლობა მინდა გადავუხადო ამ საქმეში მოღვაწე ყველა ადამიანს. ეს არის შესაძლებლობა, რომელიც ყველას გააბედნიერებს.

ნინო გიგოლაშვილი, დამამთავრებელი კურსის სტუდენტი:

– თავდაპირველად მქონდა დაბრკოლება, არ მეწყობოდა ხელი – ოჯახური საქმეები, სამი შვილის დედობა და კიდევ მრავალი სხვა, მაგრამ ყველაფერი გადავლახე. მაინც ვახერხებდი სწავლას. იმდენად კარგი გუნდი და ლექტორები გვყავდნენ, რომ არ გვაძლევდნენ შანსს, უკან დაგვეხია ამ გზაზე მიმავლებს. დიდი სიამოვნებითა და მონდომებით ვსწავლობდი ყოველთვის. ღვთის წყალობით, ლექტორებისა და ექთნების დიდი მხარდაჭერით, აუცილებლად დავასრულებ ამ კურსს. მინდა, ყველას უდიდესი წარმატება ვუსურვო. თუ რაიმეს დაისახავთ მიზნად, ის აუცილებლად გამოგივათ. მთავარია, მონდომება და სიბეჯითე. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ 35 წლის ასაკში დავიწყებდი სწავლას, თუმცა, ახლა ზუსტად ვიცი, რომ რა შანსიც უნდა გამომიჩნდეს სამომავლოდ სწავლისთვის, ყველა მათგანს გამოვიყენებ.

ამჟამად ვმუშაობ სს „საქართველოს კლინიკები“ ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში. ჩემთვის ორმაგად საპასუხისმგებლოა, ვიყო დასაქმებული სტუდენტი. ამ შესაძლებლობისთვის ყველას დიდი მადლობა. მინდა გითხრათ, რომ თუ მოინდომებთ, არ დანებდებით და განავითარებთ საკუთარ თავს, ყველაფერს მიაღწევთ.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საუბრიდან გამოიკვეთა რამდენიმე საერთო ტენდენცია: ისინი დადებითად აფასებენ პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტებს, კლინიკურ გარემოში გამოცდილების მიღების შესაძლებლობასა და პედაგოგების მხარდაჭერას. მათი თქმით, მიღებული ცოდნა და უნარები ხელს უწყობს პროფესიულ განვითარებას და ამზადებს მათ რეალურ სამუშაო გარემოში მომავალი საქმიანობისთვის.

რიმა სულაძე

ჩანახატებით მოყოლილი ამბები

სტუდენტობა მხოლოდ საგნების ჩაბარება და დიპლომისკენ ნაბიჯნაბიჯ სვლა არ არის. ეს ბევრად დიდი, საინტერესო გამოცდილებითა და განსაკუთრებული მოგონებებით სავსე გზა გახლავთ – გზა, სადაც ადამიანს შესაძლებლობა აქვს, საკუთარი თავი იპოვოს.

სტუდენტობა არის დრო, როდესაც, სამყაროსთან ერთად, საკუთარ შესაძლებლობებსაც ეცნობი. ცხოვრების ეს პერიოდი უფრო მეტია, ვიდრე პროფესიის დაუფლება; ეს არის საკუთარი მომავლის წარმართვის შესაძლებლობა, ისტორია, რომელიც ნელ-ნელა შენივე მონაწილეობით იწერება.

დღევანდელი ჩვენი რესპონდენტია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი რადმილა ჩაჩანიძე. ის წარმატებული სტუდენტია, წერს ჩანახატებს, ამ გზით საკუთარ იდეებსა და ემოციებს განსაკუთრებულად გამოხატავს, თითოეულ სიტყვას სიფაქიზითა და სისადავით არჩევს. აღწერილი მოვლენები მკითხველს თვალწინ ცხადად უცოცხლდება. მისთვის ჩანახატები თვითგამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა. ჩემზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ჩანახატმა „აფხაზეთში ატამი აყვავდა“. ჩანახატი განმსჭვავლულია იმედით, ერთობის სურვილითა და სიყვარულით. რადმილა ჩვენს უნივერსიტეტში არსებული აფხაზური ცენტრის წევრია, მუდამ აქტიურადაა ჩართული ცენტრის საქმიანობაში და ცდილობს, აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებასთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანოს ცენტრის საქმიანობაში.

– როდის და როგორ გადაწყვიტეთ პროფესიის არჩევა? რა იყო ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც კონკრეტული მიმართულება აგარჩევინათ?

– ვფიქრობ, მთავარი მიზეზი, რის გამოც ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ვსწავლობ, ჩემთვის გამორჩეულად საყვარელი პედაგოგების დამსახურებაა. სწორედ მათ გააღვივეს ჩემში ის ნაპერწკალი, რომელმაც სწორი არჩევანი გამაკეთებინა. დამანახეს, რას ნიშნავს, იყო ნამდვილი პედაგოგი – ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ ცოდნას გადასცემს, არამედ ისმენს შენს ნებისმიერ მოსაზრებას, პრობლემას, გამხნევებს და გვერდით გიდგას მაშინაც, როდესაც თვლი, რომ არ გამოგივა. პედაგოგი უნდა იყოს თბილი, გულისხმიერი და სანდო მეგობარი. სწორედ ამ ადამიანების დამსახურებით გავიკვლიე გზა ჰუმანიტარული მიმართულებისკენ. ვცდილობ, მათ მიერ ჩემში ჩადებული ცოდნა გავაღრმაო, რათა აუცილებლად გამოიღოს ნაყოფი და ერთ დღეს მეც შევძლო, ვიყო, პირველ რიგში, მოსწავლის გულითადი მეგობარი და შემდგომ – სამაგალითო მასწავლებელი.

– ჩანახატების წერისას რა გაძლევთ შთაგონებას და როდის მიხვდით, რომ ამ ნიჭით საკუთარ იდეებსა და ემოციებს განსაკუთრებულად გამოხატავთ?

– ჩანახატების წერა მხოლოდ ტექსტი არ არის – ესაა გრძნობა, რომელიც სრულიად მოულოდნელად იბადება ჩემში. ხშირად პატარა დეტალი, უბრალო შემთხვევა ქუჩაში, ან ერთი, თითქოსდა, არაფრით გამორჩეული მშვიდი ვარდისფერი საღამო შთაგონების წყარო ხდება.

კარგად მახსოვს ჩემი პირველი ემოცია ბავშვობიდან, როდესაც ჩვენი სტუმარი გულწრფელ მეგობრობაზე საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებდა, მე მხოლოდ იმის მოლოდინი მქონდა, როდის გავიდოდა ოთახიდან, რათა ამ ისტორიით გამოწვეული განცდა ფურცლებზე გადამეტანა. მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ მხოლოდ წერისას გამოვხატავ საკუთარ თავს; ამ დროს, თითქოს, ყველაზე თავისუფალი და ლაღი ვარ. სწორედ ამიტომ ვაქციე ჩანახატები თვითგამოხატვის საშუალებად.

– როგორ მოხვდით სტუდენტურ აფხაზურ ცენტრში და რა ფაქტორმა გადაგაწყვეტინათ მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა?

– ხშირად ვადევნებდი თვალს აფხაზური ცენტრის საქმიანობას. მათი ერთობა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. სწორედ წევრთა გულწრფელმა, მჭიდრო ურთიერთობებმა და, საერთოდ, მიზნისადმი ერთგულებამ გადამაწყვეტინა, მეც გავმხდარიყავი ამ ცენტრის წევრი. დღეს ეს ადგილი ჩემთვის პატარა ოჯახია, ოჯახი, რომელსაც აერთიანებს საერთო მიზანი. ამ პასუხისმგებლობას რომ იღებ, ყოველთვის იხსენებ წარსულს და იმ გმირებს, რომლებმაც ჩვენი მომავლისთვის გაიღეს ყველაზე დიდი მსხვერპლი. ამიტომ მჯერა, რომ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ ყოველთვის შევძლებთ, შევინარჩუნოთ ერთობა და ღირსეულად განვაგრძოთ სვლა საერთო მიზნისკენ.

– რას ნიშნავს თქვენთვის სტუდენტური ცხოვრება და რა გამოცდილებამ გაგზარდათ ყველაზე მეტად ამ წლებში?

– სტუდენტური ცხოვრება ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, როდესაც საკუთარი თავის აღმოჩენა დავიწყე. ახალი გარემო, ადამიანები და გამოწვევები ყოველდღიურად მაძლევს მოტივაციას, რომ საკუთარი თავის უკეთესი ვერსია გავხდე, რომელიც მუდმივად ვითარდება, გაბედულად იღებს პასუხისმგებლობას და მზადაა გამოწვევებისთვის. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი კი ამ გზაზე ყველა საჭირო შესაძლებლობას მაძლევს.

– როგორი როლი უკავიათ თქვენს პიროვნულ თვისებებს სწავლაში, შემოქმედებაში და ურთიერთობებში? რა სირთულეებს შეხვდით როგორც სტუდენტი და როგორ გადალახეთ ისინი?

– სირთულეები სტუდენტურ ცხოვრების გარდაუვალი ნაწილია, თუმცა, სწორედ სირთულეები გვეხმარება განვითარებაში. ყოველ დაბრკოლებას საკუთარ თავთან გულწრფელი დიალოგით ვხვდები, ვეკითხები საკუთარ თავს – რა არის ჩემი მიზანი, რატომ ავირჩიე ეს გზა?

პოზიტიური დამოკიდებულება და კრიტიკული აზროვნება მაძლევს საშუალებას, სწორად შევაფასო და გავაანალიზო, მივიღო გადაწყვეტილება, რომელიც ნინსვლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

საბოლოოდ, თითოეული სირთულე გამოწვევაა, რომელიც გამოცდილებასა და ძალას გვმატებს.

– რაში ხედავთ თქვენი შემოქმედებითი უნარების, განსაკუთრებით ჩანახატების წერის, მომავალ პერსპექტივას?

– ჩანახატები ჩემთვის საკუთარი შინაგანი სამყაროს გამოხატვის საშუალებაა. მომავალში მინდა ეს უნარი კიდევ უფრო განვავითარო. იქნებ ერთ დღეს ჩემი ტექსტების მცირე კრებულიც გამოვაქვეყნო... თუ ჩემი ჩანაწერები ერთ ადამიანს მაინც მისწვდება გულამდე, დააფიქრებს, თუ რაოდენ ძვირფასია სიცოცხლე, ან რაოდენ წამიერი, თუ ამ ყველაფერს ერთი ადამიანი მაინც ეზიარება, ეს უკვე ყველაზე დიდი მიღწევა იქნება ჩემთვის.

– როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი პროფესიონალური და პიროვნული განვითარება რამდენიმე წლის შემდეგ?

– რამდენიმე წლის შემდეგ ჩემ თავს ჩამოყალიბებულ და მიზანდასახულ ადამიანად ვხედავ. ინგლისურ ენაზე სწავლის პროცესმა გზა გამიხსნა ფართო შესაძლებლობებისკენ – ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული ზრდის მხრივ. ვიმედოვნებ, რომ მომავალი „მე“ იქნება მეტად თავდაჯერებული, სამართლიანი, პასუხისმგებლიანი და შემდგარი პიროვნება, რომელიც მუდამ მზად იქნება, გაუწოდოს ადამიანებს დახმარების ხელი, შეძლოს, გაუმკლავდეს გამოწვევებსა და სირთულეებს და, რაც მთავარია, ბავშვობის ოცნებები რეალობად აქციოს.

– მადლობა საინტერესო პასუხებისთვის. გისურვებთ წარმატებებსა და დასახული მიზნების განხორციელებას.

– გმადლობთ.

ანა ბერიძე

იურიდიული ფაკულტეტის
მე-2 კურსის სტუდენტი

„გენერალი", რომელსაც ამაზე არ უფიქრია

ვესაუბრებით მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს ლაშა გუტილაშვილს

– მოგესალმებით, ბატონო ლაშა. მადლობას გიხდით დროის დათმობისა და ინტერვიუზე თანხმობისთვის. მჯერა, მეტად მრავლისმთქმელი ინტერვიუ იქნება ჩვენი მკითხველისათვის. მინდა გთხოვოთ, გაიხსენოთ პირველი ნაბიჯები, რომელმაც მიგიყვანათ მესხეთის თეატრამდე.

– მესხეთის თეატრში სკოლის დამთავრებისთანავე მოვხვდი. ივლისი იყო, ზუსტი რიცხვი არ მახსოვს, მაგრამ დღე არასდროს მავიწყდება – ივლისის კვირა დღე...

16 წლის ვიყავი, სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა, დეიდაჩემმა დამირეკა და მითხრა, თეატრში არის სცენის მუშის ვაკანსია და თუ გინდა, შეგიძლია, დაიწყო მუშაობაო. ვიფიქრე, რატომაც არა-მეთქი. სიმართლე გითხრათ, მაშინ არ ვიცოდი, თუმცა, შრომისმოყვარე აღმოვჩნდი. მანამდე, მერვე კლასში, ზაფხულის პერიოდში, მუშაობის გამოცდილება მქონდა და მომეწონა საკუთარი შემოსავლის ქონა, ამიტომ მიმიზიდა ამ ყველაფერმა. დავიწყე სცენის მუშად და რამდენიმე ხანში ვითამაშე ნოდარ დუმბაძის პიესაში „ბოშები გიტარით ხელში". ეს იყო ჩემი პირველი სპექტაკლი. შემდეგ, რვა წელი პაუზა მქონდა და ამ ბოლოს ისევ დავუბრუნდი თეატრს.

– გაქვთ განსაკუთრებით სახასიათო და „თქვენეული" როლი?

– არა, არ მაქვს ასეთი როლი. თითქმის, ყველა ეგეთია ჩემთვის, როგორც იტყვიან – ის ჯარისკაცი არ ვარ, რომელსაც გენერლობა უნდა. მეცინება ხოლმე ჩემს თავზე, მაგრამ ასეთი ვარ. მსახიობობის მხრივაც ასე ვარ, მაინცდამაინც ის მუხტი, რომ ჰამლეტი უნდა ვითამაშო, არ მაქვს; რასაც რეჟისორი გადაწყვეტს და დაინახავს ჩემში, რომ ის როლი უნდა ვითამაშო, დიდი სიამოვნებით ვთამაშობ და ვარ ბედნიერი. ტაში, რომელიც სპექტაკლის ბოლოს ისმის და მაყურებლისთვის სამადლობელო თავის დახრა იმდენად დიდი ბედნიერებაა, რომ ყოველგვარ ტანჯვასა და სირთულეს ფარავს.

– რამ გიბიძგათ, რომ მსახიობობაში მოგესინჯათ ბედი?

– თვითონ თეატრმა, შემოქმედებამ. სიმღერა შემეძლო, პლუს გიტარაზე ვუკრავდი... ახალბედა რეჟისორი იყო და მთხოვა, იქნებ შენც რაღაც წვლილი შეიტანო, მიიღო მონაწილეობა და ითამაშოო. ასე დაიწყო ჯერ ერთი როლი, მერე კიდევ სხვა... ასევე, ბავშვთა დრამბრე იყო, სადაც შევედი; მართალია, უკვე ყველა ჩამოყალიბებული იყო, მაგრამ ამასობაში შევიძინე პროფესია, რასაც ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი.

არასდროს მიფიქრია, რომ შეიძლება ოდესმე მსახიობი გავმხდარიყავი. შეიძლება მეფიქრა მეხანძრეობაზე, რადგან მეხანძრეები მყავდა ოჯახში, თუმცა, მსახიობობაზე – არასოდეს.

– რთული იყო პროცესი?

– სიმართლე გითხრათ, რაღაცები მართლაც იყო რთული, მაგრამ ისეთ რეჟისორებთან მომიწია მუშაობა, რომ მათ ყველანაირი სკოლა გამატარეს.

უნივერსიტეტშიც ჩავაბარე, სადაც მესხეთის თეატრის მიზნობრივი ჯგუფი შეიქმნა. მოვხვდი თეატრალურზე, თუმცა, ორი თვის შემდეგ წამოვედი. ჩემს მსგავსად ვინც იქცევა, ხალხი სულელს ეძახის, მაგრამ მე ასე მიმაჩნდა სწორად.

– ამ გადმოსახედიდად, შეცვლიდით გადაწყვეტილებას?

– არა, არა, როგორც გითხარით, მე არ ვარ ის პიროვნება, ვისაც გენერლობა უნდა. ჩემთვის დიპლომი მარტო სახელია, არ ვთვლი, რომ ადამიანის შესაძლებლობები დიპლომით უნდა განისაზღვროს.

– ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს ამ გადაწყვეტილებას?

– ისეთი ცხოვრების გზის გავლა მომიწია, რომ ყველა გადაწყვეტილებას თავად ვიღებდი; ეს შეიძლება ან სიჯიუტის, ან პირადი ცხოვრების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო იყო ასე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა გადაწყვეტილებას თავად ვიღებდი. რა თქმა უნდა, ოჯახი წინააღმდეგი იყო, „უნივერსიტეტს ტოვებ, როგორ შეიძლება, ხო არ გაგიჟდი, ამხელა კაცი, დიპლომის გარეშე იქნები..." მე ჩემი თავმდაბლობით ლექტორებს ვთხოვე, თუ შეიძლება, გამოცდები არ ჩავაბარო და ისე ვისწავლო-მეთქი. არაო. მეზარებოდა. განა არ შემეძლო, მაგრამ გამოცდების პროცესი არ მიყვარს, ამიტომ დავტოვე და წამოვედი.

– გადის დრო, წლები, თუმცა, დიპლომზე ჩაციკვლას ყავლი არ გასდის. რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით ამ სისტემაში?

– ჩვენ განათლების სისტემის სრულ ამოტრიალებას ვეჯახებით ასეთ დროს, თუმცა, მე პირადად ვეთანხმები. დღევანდელი განათლების სისტემა ძალიან დაგვიბერდა. წარმოიდგინეთ, ეს „ძალიან" თითქმის საუკუნენახევარს ითვლის. ეს აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ასე მგონია, ხალხი, ასეთი განათლების სისტემის გამო, უდიდეს გაურკვევლობაშია, ჩემი აზრი ეს არის. ძალიან სიღრმისეულად ვერ ვერკვევი, მაგრამ ვხედავ იმას, რაც მე გავიარე, რაც პაპაჩემმა, მამაჩემმა და სხვებმა გაიარეს. ეს უკვე ძალიან დაძველდა, წესით ეს ინდუსტრიული სწავლება უნდა შეიცვალოს, ახლა უნდა იყოს ინდივიდუალური სწავლება. აქ ფანტაზიის გაშლაც შეიძლება. ხალხის კომპლექტირება რომ მოხდეს, როგორც დღეს სასოფლო კოლეჯები და მსგავსი რაღაცები იხსნება, ასეთი მეტია საჭირო.

– გადახვეულ თემას რომ დავუბრუნდეთ, რა არის ის უნარი, რაც ადამიანს მსახიობობისთვის სჭირდება, რადგან ერთთავად ვთანხმდებით, რომ დიპლომი არ არის ამოსავალი წერტილი?

– ის პროფესიონალი უნდა გახდეს თავის საქმეში. ადამიანს ყველაფერში დაკვირვება უნდა, რათა

ის გზა, რასაც დაავალებენ, სწორად გაიაროს. ამ შემთხვევაში, ჩვენ რეჟისორი გვავალებს, როგორი პერსონაჟი უნდა შევქმნათ, ამას უნდა შემოქმედებითი ნიჭი.

– მსახიობად იბადებიან?

– ყალიბდებიან. იბადება „არავინ". ასეთი კითხვა იყო, ყველას ჯვარი სწერია, მაგრამ ბავშვი რომ ყრუ იბადება, რა ენაზე ფიქრობს? ჩვენ, საერთოდ, არ ვიცით, ბავშვი ფიქრობს თუ არა, მაგრამ ვიცით ის, რომ იგი ახელს თვალს და აღიქვამს

სხვადასხვა გარემოს. აქაც ასეა, სხვადასხვა გარემოში რეჟისორს ვგულისხმობ, ხვდებით? ძალიან საინტერესოა. ზოგადად თეატრის ცხოვრებაა საინტერესო.

– მაყურებელსა და მის დამოკიდებულებაზე რას იტყოდით?

– ჩემდაგასაკვირად, რაც სცენა დავტოვე, რვა წლის წინ, საყვედურს მეუბნებოდა ძალიან ბევრი ადამიანი, ხოლო დაბრუნება ძალიან გაუხარდათ. არც მეგონა, ასე თუ იყო... ძალიან მესიამოვნა, რომ მისაღები ვარ.

– რადგან „დაბრუნებას" შევეხეთ, თქვენი ბოლო როლი რომელი იყო?

– ახლა დრამბრის ბავშვებთან ვითამაშე და შევასრულე ბატონი ლონგინო ბუაჩიძის როლი სპექტაკლში „მერხებთან ანგელოზები სხედან", ქიმიის მასწავლებელი ვიყავი. ავტორი არ მახსოვს, ვერ ვიხსენებ... მაგრამ არაუშავს, მეც დამივიწყებენ, როდესაც გარდავიცვლები. აღარ ვემახსოვრები არავის.

– იქნებ ახსოვდეთ?

– ცოცხალი ადამიანი ამას ვერ განსაზღვრავს; ხომ იცით, გარდაცვალების შემდეგ ადიდებენ, სიცოცხლეში ამას ვერ იტყვი.

– ტერენტიმაც და გალამაც იცოდნენ, რომ არ დაივიწყებდნენ.

– ჰოო, მათ იცოდნენ, იცოდნენ, კი. ის გიჟი იყო, ორივე გიჟი იყო, კარგი გაგებით...

– გენერლობა რომ ყოფილიყო თქვენი მიზანი?

– გენერლობას მივაღწევდი მხოლოდ მაშინ, თუ ჰოლივუდში მოვხვდებოდი და იქ ვიმუშავებდი დამლაგებლად. აქ, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, ყოველთვის დაუფასებლობა იყო, ყოველთვის.

– ისევ რომ გადავინაცვლოთ ინტერვიუს დასაწყისში, თეატრსა და კინოს შორის სხვაობა რამდენად დიდია? აქვს გადაკვეთის წერტილები?

– რა თქმა უნდა, არტისტიზმი. მაგალითად, თუ კინოოპერატორი თავის საქმეს ვერ გააკეთებს, მან შეიძლება მსახიობი სრულად „დაკარგოს". ორივეს ბევრი საერთო აქვს, თუმცა, მგონია, თეატრის მსახიობი ბევრად ძლიერია, რადგან მას პაუზის უფლება არ აქვს; როგორც კი დაიწყება სცენა, ბოლომდე უნდა გავიდეს. კინოში დუბლების გადაღება, შეცდომის დაშვება შესაძლებელია. ამიტომაც არის – „ეს სპექტაკლი უკვე ნანახი მაქვს" ვერ ვამბობთ; იმპროვიზაციის გზით შეიძლება ბევრი რამ მოხდეს, ყოველ ჯერზე იცვლება რაღაც, მუდამ ახალია.



– მსახიობისთვის პრაგმატიზმი უფრო მნიშვნელოვანია თუ ფილოსოფია?

– ფილოსოფიისკენ უფრო უნდა იხრებოდეს, სიღრმეებში დადის, იქ ეძებს როლს, სხვა შემთხვევაში ამოუძირკვავად ვერ მოძებნის. პრაგმატიზმი კლუბის დონეზე... კავენში შეიძლება ითამაშო, თუმცა, იქაც საჭიროა მსახიობობა, ისე ვერც იქ გაიმარჯვებ. ამიტომ სჯობს ფიქრები ფილოსოფიისკენ წაიღოს – ვინ და რატომ გააკეთა ის, რაც გააკეთა და ასე შემდეგ. ფიქრია საჭირო.

– ბევრი „დარქმეული მსახიობის" ეპოქაში, თქვენთვის ვინ არის მსახიობი?

– რთული კითხვა არაა, პასუხი კი არ მაქვს. ყველა მსახიობი, თუნდაც რეგიონული მსახიობები, არ ვჩანვართ, თუმცა, ბევრი სახე გვაქვს შექმნილი. კომუნისტური გადმონაშთი ვახსენე, იქ სჭირდათ ასეთი რამ – რამდენიმე ადამიანისგან შეკრავდნენ გუნდს და მათზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. ქართული ფილმები რაც კი გვაქვს, ყველგან რამდენიმე მსახიობია... ყველგან იგივე? მე არ მომწონს. ამიტომ მსახიობებს ვერ ვარქმევ... ყოველ დღე რომ ერთსა და იმავეს უყურებ, არ ნიშნავს, რომ კარგია. ბევრი მსახიობი არ ჩანს. ერთი და იგივე სახეებია სულ.

– დღესაც ასეა. რატომ ხდება თქვენი აზრით?

– იდეოლოგიის, განათლების სისტემისა და „ჩემი ბიძაშვილიას" გამო, თუმცა, კიდევ არის სხვა მიზეზები. მაგალითს გეტყვით. ერთხელ ქალბატონმა ლია სულუაშვილმა დამირეკა – ლაშა, რატომ თქვი ამ ფილმში თამაშზე უარი, ხომ არ გაგიჟდიო. არ ვიცოდი არაფერი. თურმე, ერთ-ერთ რეჟისორს ავურჩევივარ, ფილმისთვის, დაუვალებია, რომ დამკავშირებოდნენ; დაურეკავთ და მე მითქვამს, რომ არ მცალია?! როდესაც ნომერი გავიგე და და დავუკავშირდი, ვკითხე – თქვენ მე დამირეკეთ-მეთქი? დიახ, თქვენ გესაუბრეთ... თქვენ არ იყავითო? ხომ ხვდებით, ეს არის „ჩემი ბიძაშვილი"... ჩემთვის არაფერი უთქვამთ...

– თქვენი ვაჟიც სცენაზე დგას.

– კი, კი. უფროსებშიც ითამაშა საკმაოდ წარმატებით. ჯერ ბევრი აკლია, მაგრამ მე არ ვასწავლი, ეს უნდა ისწავლო იქ, შიგნით. სიტყვით ახსნილით ვერ ისწავლის, უნდა იგრძნოს. მაგრამ, ძალიან კრიტიკულად ვუყურებ. რთულია, როდესაც მსახიობი სცენას დარბაზიდან უყურებს. ხომ იცით, მარტივად ჩანს შორიდან. საბოლოო ჯამში, თომას არ აქვს კომპლექსი. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იმის შედეგიცაა, რომ მას უამრავი სპექტაკლი აქვს ნანახი, როგორც თევზი, ისეა.

პირველად მინი სპექტაკლებში ითამაშა, პროექტის ფარგლებში დადგეს ნოველები. მგონი, ოთხი სპექტაკლი აქვს ნათამაშები, მოსწონს და რადგან ასეა, აკეთოს. ისე, ბოქსითაც დაინტერესდა ახლა, მხოლოდ თეატრით კი არა. ჩემთვის მთავარია, დახელოვნდეს და აკეთოს ის, რაც მას სიამოვნებს, თავად უნდა ისწავლოს. ჩემი აზრით, ყველამ უნდა ნახოს თავისი ადგილი.

– ხშირად თომას ამ უნარს გენეტიკას მიაწერენ. თავად რას იტყვით?

– მოდით, ერთ ამბავს მოგიყვებით. პაპას, პირველი ცოლისგან, ორი შვილი ჰყავდა, რომელთაგან ერთ-ერთი ახალციხეში სახალხო თეატრში თამაშობდა. მის შესახებ გვიან გავიგე. უკვე თეატრში ვიყავი, მას „დავაბრალოთ" მაშინ, გამოდის – ორივესგან გამოყვა ეს უნარი თომას. ჩემგანაც და მისგანაც.

– ერის კულტურის განვითარების პროცესში თეატრის როლზე რას იტყვით?

– უდიდესი როლი აქვს, ნებისმიერი ერის განვითარებაში. ასე ვთქვათ – კულტურაა კულტურული განვითარებისთვის.

– თეატრი ჩარჩოებს იტანს?

– ბოლოს ინგრევა, რაც იძულებითაა, ინგრევა. დრო უნდა, უბრალოდ, ჯერ იტანს და როდესაც მოთმინება ელევა, ანგრევს.

– ახალგაზრდა თაობის თავისუფლებასაც რომ შევეხოთ, რადგან, თუნდაც ჩემს თაობაში, ჯერ კიდევ ბევრი დაუძლეველი კომპლექსი გვაქვს.

– ეგრეა, რადგან საბჭოეთში გაზრდილი ხალხი იმ აზროვნებით მოგყვებით თქვენ. რამდენიმე თაობა უნდა, რომ გაქრეს. კაგებეს მაღალი რანგის ჩინოვნიკი ამბობდა, რომ ერის დეგრადაციას 15 წელი სჭირდება და რაზე უნდა ვისაუბროთ, როდესაც 70 წელი ხდებოდა დეგრადირება? ბევრი სჭირდება. ახალ თაობას სილაღე და გახსნილობა აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სცენაზე კარგი ხარ, იქ მსახიობი და ოსტატი უნდა იყო. შინაგანი თავისუფლება როლის კარგად შესრულებას არ ნიშნავს, პერსონაჟი უნდა იყო. ის თავისუფალი არ იყო და ვერ იქნები შენ, როგორიც ის იყო, ზუსტად ისეთი უნდა გახდე, ეს არის სცენა.

– რთულია როლზე მუშაობისას პიროვნულობის „გათიშვა"?

– კი, მაგრამ შესაძლებელია. ხრიკებია, როგორ მიხვიდე იქამდე. როგორც ოთახში შუქის ჩართვა, ისე მარტივდება, ზოგი რამ კი საერთოდ არ გამოდის. გარედან გეუბნებიან, რომ კარგია, თუმცა, როდესაც იცი, რომ არ იყო კარგი, ვერც დაიჯერებ. ყოველთვის ყველაფერი ვერ გამოგივა.

– ამ კავშირისთვის, როლსა და მსახიობს შორის, რა არის უპირველესი?

– ფიქრი. უნდა დაჯდე და ჩაწვდე, ვინ და რატომ, ბევრი კითხვაა. პიროვნება ბოლომდე უნდა აითვისო. სხვა შემთხვევაში, ვერ გააკეთებ.

– მაყურებლები, თითქოს, ინერტულები არიან?

– ახალციხის მაყურებელი, მთლიანობაში, 10-დან 7-8 ქულაზე მერყეობს; ძალიან კარგი მაყურებელი გვყავს. მაგალითად, არ ჰყავდა ბორჯომს, თუმცა, იცვლება, ადრე სხვანაირად იყო, შუა სპექტაკლზე ჭორაობდნენ, რაც საშინელებაა; ბევრჯერ დაგვიტოვებია სცენა და გავსულვართ. მიზეზს ვერც ხვდებოდნენ, რატომ. მათ სპექტაკლზე ყოფნის კულტურა არ აქვთ, ვერ გრძნობენ მას.

– დარბაზი ისევ ცარიელია?

– იცით, ვაბრალებთ უფულობას, მაგრამ ერთხელ ნანახი სპექტაკლი არ ნიშნავს ნახვას, რადგან ყოველ ჯერზე სხვა რამ ხდება. არ ვიცი, რატომ ხდება ასე, პრემიერას ნახავენ და მორჩა. მთლიანობაში გვქონია შემთხვევა, ერთი ადამიანისთვის გვითამაშია, კარგი კომედია იყო... არ ვიცი, ასე რატომ მოხდა. ისე, ათი დამსწრე უნდა იყოს, რომ შედგეს სპექტაკლი, თუმცა, ერთი იყო, თავიდან ოთხნი იყვნენ და ნელ-ნელა მარტო დარჩა.

– მსახიობები როლში რჩებიან?

– დიახ, არიან ასეთებიც. ჰგონიათ, რომ სულ ასე უნდა იყვნენ, ასე გააცნონ თავი, მუდამ ასე უნდა იყოს. არ ვიცი. მაყურებელსაც ხშირად ჰგონია, რომ როგორც სოფლის ოხუნჯმა, უნდა ვაცინო, სახალისო რაღაცები მოვუყვე და გავამხიარულო. მე კომიკი არ ვარ. ვეუბნები, მოდი და სცენაზე მნახე. მათ მსახიობობა იუმორი ჰგონიათ... ის ტრაგიზმიცაა.

– რატომ ვერ აღწევენ თავს კონკრეტულ როლს?

– გზას ვერ აგნებემ და იჭედებიან როლში.

– როლის პოვნა უფრო რთულია თუ მისი დატოვება?

– ორივე. მაგალითად, მეღვინეთუხუცესი მხოლოდ თუთაშხიათი ვიცით, ჩემი აზრით, არ ვაკნინებ, მაგრამ ის ერთ ხაზზე იყო მაგარი, სხვაგანაც ითამაშა და იქაც ეს ხაზი ჰქონდა. მაგას ვამბობდი, კარგად ვერ აღვიქვამ, სულ რომ მაჩვენებ ერთსა და იგივეს, არ ნიშნავს, რომ კარგია. ბევრთან ერთად, სხვა უნდა მაჩვენო და გავიგებ. არჩევანი რომ არ არის, კარგია. მოდით, იძულებითი მოწონება დავარქვათ. არადა ბევრი ამთავრებს უნივერსიტეტს, თუმცა, ვერ აღწევენ მიზანს.

– მსახიობი, თითქოს, ტრაგიზმსაც და სიხარულსაც ყოველწამიერად დაეძებს?

– თითქოს არა, ნამდვილად დაეძებს, მუდმივი ძებნის პროცესია, თითოეული პერსონაჟი საძებნელია ორი სანთლით, ერთი შეიძლება არ გეყოს, მეორეც უნდა წაიღო. ნიღბებივითაა, თეატრის მთავარი ლოგოც ფილოსოფიურადაა შერჩეული, მოწყენილი და მხიარული. ოდითგან ასე მოდის, საბერძნეთიდანვე.

– რას ურჩევდით მომავალ მსახიობებს, მათ, ვინც ვერ იპოვა საკუთარი თავი?

– განათლებას, მხოლოდ განათლებას. ბევრი იკითხონ, ჩაწვდნენ, ჩაეძიონ, რატომ ხდება ეს ყველაფერი, თუ დაინტერესდნენ, უნდა გაიგონ, რატომ შეიქმნა მსახიობობა, თეატრი. ეს არ არის უბრალო რამ. რელიგიის ტოლფასია.

– აქ „რატომ" მთავარი კითხვაა?

– დიახ, რადგან აქ სულ კითხვებზეა, რატომ თქვა, რატომ გააკეთა... თორემ დაიკარგები, ვეღარ გააგნებ გზას, ამოვარდები.

– დაკარგვა ხშირია?

– კი, მიდიხარ და უცებ ჩამოვარდები ვაგონიდან, მერე ისევ ბრუნდები, ზოგჯერ რეჟისორის დახმარებით. გონებრივად და ფიზიკურად ერთიანად იღლები, გადაღლილი გამოდიხარ, მაგრამ შედეგს რომ მიაღწევ, ბედნიერი ხარ.

– როგორ იგრძნობა შედეგის მიღწევა?

– თვითკმაყოფილების გრძნობა ჩნდება, ოღონდ სამართლიანი უნდა იყოს, მაყურებელმა როგორ აღიქვა, ამას უნდა მიხვდე, მარტო საკუთარ თავზე ფიქრი არ იზამს. ზეგ ტაშს აღარ დაგიკრავენ, „კიდევ ეს კაცოო?!"– ამას იტყვიან.

– სცენამ იცის მონატრება?

– კი, სცენამაც და აურამაც ძალიან დიდი აფეთქება იცის. ახლა ჩემს ფიქრებში სცენის შუა გულში ბუმბულებში დავეცი. ბედნიერებაა, იქ ჩვენ ბედნიერები ვართ, როგორც არ უნდა ჟღერდეს, ასეა.

– ეს სულიერი მდგომარეობაა?

– კი, ენდორფინი გამოიყოფა. ადამიანიც ემოციურად კარგად გრძნობს თავს, აბსოლუტურად სხვაა სცენაზე ყურება, როდესაც იქ ხარ. გვქონია შემთხვევა, მცირე დარბაზში მაყურებელს ვრთავდით. აქ ბევრნაირი გზაა ერთ როლში. როგორც ლოტოში მილიონი ვარიანტია, აქაც ეგრეა. გზას რეჟისორი გკარნახობს, როგორ მიხვალ, ეგ შენზეა დამოკიდებული, თავად უნდა გაერკვე და გაიკვლიო გზა.

ინტერვიუერი
ნატალია ვარდიძე

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

რედკოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, თამარ კორტი, იური ბალახაძე, ნატალია ვარდიძე, ვარსენიკ ვართანიანი, თენგიზ მელიქიძე

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113

ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68

ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge